



ქვეყნული  
გაზეთი

X.

ყოველკვირეული გაზეთი.

X.

№. 38

კვირა, 15 სექტემბერი 1902 წლისა.

№. 38

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სპი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.  
ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში, და «კვალის» რედაქციაში, სანჯორნის ქუჩაზე, № ტელეფონი № 734.  
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакция. «КВАЛИ».

**შინაარსი:** ცხოვრება და შეცნობა, დ. თ-სა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—ქუჩის ბიჭები, მოთხ ანდრე ნუმე-ვესკისა, თარ. გ. რ-სა.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—გურნალ-გაზეთებიდან.—ჩუკნი ცხოვრებიდან, დ. კოლხიდელისა.—ჭიათურის შავი ქვის მწარმოებლების მამაჟადი კრების გამო, ი. კაკაბაძისა.—ქუთ. ქალაქ. საქ. განახ. საბჭოს ხელში, ისასა.—მანობა და ბატონ-უმობა, №-სა.—მეფე ვასტანგ მეექვსის კანონება და ქართული ქალი, ა. ჩხენკელისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—განცხადება.—

„კვალის“ რედაქცია გ დაუიდა სანჯორნის ქუჩაზე, რევაზოვის სახლი № 35.

**ცხოვრება და მიცნობა.**

**II**

პირველ წერილში ამგვარი კითხვა დავაყენეთ: წვრილ მეურნეობას ელის მომავალი, თუ მსხვილს?

ახლა კი მკითხველს გავაცნობთ მოკამათე ეკონომისტთა შეხედულებებს ამ საგანზე.

მოკამათენი *grosso modo* იყოფებიან ორ ბანაკათ. ერთი ამტკიცებს მსხვილ მეურნეობის ტენიკურ და ეკონომიურ უპირატესობას წვრილ მეურნეობასთან შედარებით. მეორე ამბობს: წვრილ მეურნეთა რიცხვი ჯერ არ შემცირებულა, პირ იქით, კიდევ გამრავლდა და მისი სასიცოცხლო ნიშნებიც მატულობს; წვრილ მეურნეთა შორის ვრცელდება ამხანაგობანი, კოოპერაციები და ეს უკანასკნელები აძლევენ საშუალებას წვრილ-მეურნეთ წარმოება ტენიკურათ და ეკონომიურათ რიგიან პირობებში ჩააყენონ; მაშასადამე, წვრილ მეურნე-მუშას, მეურნე-გლეხს,—რომელიც უფრო მუყაითათ უფლის თავის პაწია მამულს და კმაყოფილდება მოგება—ხელფასით,—აქვს ბრძოლაში უპირატესობა და მომავალიც მისია. ამას ამბობენ მეორე ბანაკის ეკონომისტები...

ამ უკანასკნელთა მსჯელობა მეტათ მომხიბლავია. ის აკმაყოფილებს სუსტისადმი გულშემატკივრებს და მშრალ გონების მოთხოვნილებასაც. მიუხედავათ ამისა საგნის რიგიანათ გათვალისწინება, ყოველ მხრივ მისი აწონ-დაწონვა, საბუთების განხილვა აუცილებლათ საჭიროა.

რა გზით შეგვიძლია მივადწიოთ ამ მიზანს? არის ორი საშუალება: ერთი—რავდენიმე ძირითადი დებულება და იქიდან ლოღიკურ დასკვნას გამოყვანა... მეორე—პირდაპირი ანალიზი ფაქტებისა მათ თანდათანობით განვითარებაში. უკანასკნელ საშუალებას მწერლისათვისაც და მკითხველისათვისაც აქვს უპირატესობა, და აი ჩვენც მით ვისარგებლებთ.

სოფლის მეურნეობა სხვა და სხვა სახელმწიფოებში და სახელმწიფოს ნაწილში სხვა და სხვა ნაირათ ვითარდება. ეს გარემოება მეტის მეტათ აბრკოლებს კვლევა-ძიებას და ადვილათ შეყავს მწერალი შეცდომაში. თუ გერმანიისა და საფრანგეთის უმრავლეს ნაწილში მიწის საკუთრების დაწვრილმანების პროცესი ხდება და წვრილ მეურნეთა რიცხვი მატულობს, ბელგიისა და ინგლისში სულ წინააღმდეგ მოვლენას ვამჩნევთ; თუ ერთს ალაგას წვრილი მეურნეობა საკმაოთ უწევს ბრძოლას მსხვილ მეურნეობას, სხვა ალაგას ის გათახსირებულ და უიმედო მდგომარეობაშია; თუ ერთს ალაგას კოოპერაცია ამხნეებს წვრილ-მეურნეს იმედით, იგივე კოოპერაცია მეორეში ვერ ათავისუფლებს მას სასტიკ ეკონომიურ გაჭირვებისაგან და ხშირათ მისთვის ქმნის ისეთ ჯაჭვის ქსელს, რომელიც აყენებს მას კიდევ უფრო აუტანელ პირობებში. ბევრი ეკონომისტი კოოპერაციაში ხედავს გამკურნავ წამალს ყველა წყვეულ კითხვების წინააღმდეგ. ამ მწერლებს დაუხატავთ უკვე გრანდიოზული და მომხიბლავი სურათი, რომელშიაც მთელი ქვეყანა წარმოდგენილია, როგორც მრავალი დაქსაქსული კოოპერატიული დაწესებულებანი, სადაც წვრილი მეურნე-წარმოებელნი ძმურათ მოქმედობენ საურთიერთო ინტერესებისათვის. ხალხთაშორისო კონგრესებზე და ცენტრალურ ორგანოების საშუალებით გაწესრიგებულია მოთხოვნილება და მიწოდება (*спросъ и предложеніе*) და ნამდვილი შრომის განაწილება კოოპერატიულ საზოგადოებათა შორის სხვა და სხვა ქვეყნებში... აღარ არის არც მეტ-წარმოება (*перепроизводство*), არც კონკურენცია; აღარ ისმის მეხივით გრგვინვა განუწყვეტელ კრახებისა; აღარ არის მეტათ კრიზისები... ასე ასურათებენ მომავალს ოპტიმისტები.

მათ არ ეშინიათ მილიარდერებისა და მილიარდერთა კავშირისა... საშიშარი ძალები ტრესტებისა გაიბნევიან კოოპერატიულ კავშირის ჯადოსნურ ძალის წინაშე...

მაგრამ ყველა ეს—წმინდა აბსტრაქციაა, ჰიპოტეზური ძლიერ სუსტ ნიადაგზე აღმოცენებული..



ქალღმერთის ფურცელზე ყველაფერი სწორი, ნათელი და უქვეყნოა, მაგრამ თეორეტიული მოსაზრებანი ყოველთვის როდი ეთანხმებიან ნამდვილ ცხოვრების მსვლელობას. შეიძლება კოაპერაციის თეორეტიკებმა ცუდათ ახსნეს სოფლის მეურნეობა...

დავიწყეთ ჩვენი აღწერა საფრანგეთიდან—ამ წვრილ საკუთრებისა და წვრილ მეურნეთა კლასიურ მხარიდან!..

12 დეპარტამენტში, რომელნიც გათქმულნი არიან პუარის მოსავალით, ჩვენ ვხედავთ, რომ ექვს დეპარტამენტში მოიმატა მესაკუთრე-მეურნეთა რიცხვმა, დანარჩენ ექვსში კი მოიკლო. მთელ საფრანგეთში მესაკუთრე-მეურნეთა რიცხვი შეიცვალა ამნაირათ:

	1882	1892	მოიმატა (+) დაიკლო (-) %
მესაკუთრენი, რომელნიც აწარმოებენ მხოლოდ საკუთარ მიწებს . .	2.150.696	2.199.220	+ 2,26
ფერმერები . .	500.144	475.778	- 4,87
Métayers. . .	147.128	123.297	-16,19
დღიური მუშა . .	728.374	588.950	-19,03.

აბსოლუტურათ კი პირველ კატეგორიას მოემატა 48.524. მეორეს დააკლო— 24.366.

მესამეს ,, — 23.381.

მეოთხეს ,, —138.424.

მთელ საფრანგეთში მოიმატა მხოლოდ ისეთ მეურნეთა რიცხვმა, რომლებსაც აქვთ ერთზე ნაკლები და 100 მეტი დესეტინა; ხოლო იმგვარ მეურნეთა რიცხვმა, რომლებსაც ერთზე მეტი და 100 ნაკლები დესეტინა აქვთ, მოიკლო. ეს ფაქტი ფრიად საგულისხმოა, რადგან ის ამტკიცებს ძლიერ წვრილ და მსხვილ მეურნეთა გამრავლებას და საშუალო მეურნეობათა რიცხვის შემცირებას...

დ. თ.

(შემდეგი იქნება).

**სხვა-და-სხვა ამბები.**

მოგვივიდა მე-IX ნომერი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი“-სა შემდეგის შინაარსით: 1) „ციყვი და მგელი“—ალ. ხარშილაძისა.—2) „დიდი ბატონი“—ბეს. ვაშაძისა.—3) „შოშია“ (კრილოვის იგავ-არაჯი)—აკაკისა.—4) „იშვიათი მამაცობა“ (თარგმანი).—5) „შვიდი ყვავი“ (ზღაპარი)—ნიკუშა მაჩაბლისა.—6) „დარაჯი ბატი“ (თარგმანი).—7) „მელიას თავ-გადასაფალი“ ზღაპარი—(გაგრძელება) ალ. ნათაძისა.—8) „მგელი და მელა“ (ლუნკევიჩისა)—კ. ფრონის-პირელისა.—9) „პატარა დედოფალი“ (თარგმანი) გაგრძელება—ს. ციციშვილისა.—10) „გიორგი“ (მოთხრობა) გ. ბოკერიასი.—12) „ავქსენტი ანტონის ძე ცაგარელი“ მოკლე ნეკროლოგი—ს. მგალობლიშვილისა.—12) „წვრილმანი: ანდაზები, გამოცანა, შარდა, არითმეტიკული ამოცანა და სხვა“.

11 სექტემბერს, თფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე გაზეთ „ყაზბეგ“-ის დროებით რედაქტორათ ნამყოფისა და გამომცემლის სერგეი ყაზაროვისა, რომელსაც ბრალათ ედებოდა ცენზორის ნება-დაურთველათ თავის გაზეთში ერთი ამბის დაბეჭდვა. 1899 წლის 29 ნოემბერს სერგეი ყაზაროვს ახალ ამბებში მოუთავსებია შემდეგი ცნობა: „კვირას, 28 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, მდინარე თერგზე მოხდა შემდეგი შემადრწუნებელი უბედურება: მდინარის იმ ადგილას, სადაც კავკავის ველოსიპედისტთა საზოგად-

ობის წევრნი ყინულზე ცურაობენ, ჩატყდა ყინული და თან ჩაიტანა მრავალი მცურავი, განსაკუთრებით ბუნებრივი რადგანაც დიდძალ ხალხს მოეყარა თავი და ბუნებრივი წყალში ჩაიკვინულთ დროზე ვერ მიეშველენ. ისეთი წვივლ-კივილი გაისმოდა, რომ შეუძლებელია მისი აწერა. ჯერ-ჯერობით წყლიდან ამოიღეს 15 დამრჩვალი კაცის გვამი. დანარჩენ დაღუპულთა გვამების ძებნას წყალში შეუდგენ. ამ შემაწუხებელ უბედურების შესახებ დაწვრილებით ცნობებს ხვალ ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს“. რადგანაც ეს ამბავი დროებით რედაქტორს ცენზორის ნება დაურთველათ დაუბეჭდია, იგი პასუხის-გებაში მიუციათ სასჯელთა დეპარტამენტის მე-1024 მუხლის ძალით.

კავკავის ოლქის სასამართლოს, როდესაც ეს საქმე განუხილავს, დამნაშავეთ უცნია ყაზაროვი და გადაუწყვეტა მისთვის 3 თვით დაპატიმრება პოლიციასთან. ყაზაროვს საქმე თფილისის სამოსამართლო პალატაში გადმოუტანია. ყაზაროვი საჩივარში, სხვათა შორის, სწერდა, რომ ოლქის სასამართლომ უკანონო შეუფარდა ამ შემთხვევას სასჯელთა დეპარტამენტის მე-1024 მუხლი, რადგანაც ამ მუხლის ძალით ის-ჯება დამნაშავე მაშინ, როდესაც იგი მთელს თხზულებას ბეჭდავს ცენზორის ნება-დაურთველათ და არა მაშინ, როდესაც გაზეთში პატარა ცნობას ათავსებს ამა თუ იმ უბედურების შესახებ. პალატამ, მცირე თაობირის შემდეგ, გამოაცხადა თავისი განაჩენი, რომლითაც უდნაშაულოთ იქნა ცნობილი გაზ. „ყაზბეგ“-ის გამომცემელი და დროებით რედაქტორათ ნამყოფი სერგეი ყაზაროვი.

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „რუსთა მწერლები“ I: მამქსამე გორკის მოთხრობები, წიგნი პირველი, თარგმანი ვანო გიუნაშვილისა, ავტორის სურათითა და ავანე გომარტლის-მიერ განსაკუთრებით ამ გამოცემისთვის დაწერილ კრიტიკულ-ბიოგრაფიული წერილით, გამოცემა იოსებ იმედაშვილისა. წიგნში მოთავსებულია თორმეტი მოთხრობა, რომელთაგან ზოგიერთები პირველათ იბეჭდება ქართულათ: ერთხელ შემოდგომაზე, მამანოს ლექსი, მანდარში, დოსტოვა, ეშმაკის შესახებ, კადევ ეშმაკის შესახებ, ტეკვაზე, მანწანწადა, კმიდან ჰაღაზა, წითელი ვასო, მკითხველი. ივ. გომარტლის მიერ დაწერილი მ. გორკის ცხოვრების აღწერა და ნაწარმოებთა განხილვა, რომელიც შეიცავს წიგნის XVI გვერდს, არსად არ ყოფილა დაბეჭდილი და პირველათ მხოლოდ ამ წიგნში იბეჭდება. წიგნი შეიცავს 269 (XXIV+245) გვ., დაბეჭდილია სუფთათ და ღირს სამი აპაზი.

**კორესპონდენციები.**

**ბათომი.** არა მგონია, რომ სდმე ისე ავადებული იყოს რომელიმე საზოგადოება, როგორც ბათომის ქართველი საზოგადოება აივდო ზოგიერთმა აქაურმა სტენის მოყვარებმა და ზოგმა არტისტებმა! ჩვენმა ავადებამ და უზრდელობამ თქვენი ჭირი წაიდოს, ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, მარა როდესაც სამსახრათ ივადებენ ხელფანების იმ ერთ დარკს, რომელსაც სტენა ეწოდება, როდესაც ტაფანში სვრანს, აჭუჭუქიანებენ საზოგადოების ერთ-ერთ გამომთხიზლებელ საშუალებას და გულს უტრუევენ საზოგადოებას სტენას, —ეს კი შეტის-შეტია, ეს კი მისათმენი არ არის... მარა აქაური დაღვრული ქართველი საზოგადოება დიდი, შეტათ დიდი მამთმუნი ყოფილა. ის ითმენს ხელფანების შეურაცხველას. ითმენს თავის-თავის მოტრუებას. მოგვხსენებათ, რომ ბათომში არ არსებობს მუდმივი დასი, მოგვხსენებათ, რომ ამ მხრით ბათომელები სუსტობენ და აი ამ სისუსტით სრკებლობენ ზოგიერთი ვაჟბატონები და აქვს ბათომელები მოკლებულნი არან ქართულ წარმოდგენებს. არ ყავთ





დასი, და მადით ბიჭო, ვისარგებლათ ამით, გაუმართოთ წარმოდგენა, წარმოდგენის მწეურავად ბათიმის საზოგადოებად მოაწოდება თეატრს, ავობტავთ ფულებს და მერე თუ უნდათ, თავი ქვას ატეხონ, რა გვენაღებთ, ჯიბეს ხომ გავიტენით, ასე ფიქრობენ ეს ვაჟბატონები და არც ცდებიან ანგარიშით. მართლაც და ბათიმის ქართული საზოგადოება, როგორც ქართულს წარმოდგენებს მოკლებული, უიქრობს: ავინმა იქნება კარგათ წარმოდგინონ, ავინმა იქნება აღნავ მაინც დაგვაკმაყოფილებინ და სიხარულით მიეშურებიან თეატრში. მარა სამწუხაროთ ეს იმედი სავსებით უნგრუდებათ: „ცოტათი მაინც როგორანთ ბიესის შესრულების“ მაკვრათ ხეობიან ბიესის დამახინჯების, ხელფანების ტალახში გასვრის მოწამეთ და ვინც შეგებულნი მსურებულნი, ის ხელების ჩაქვევით გამოდის თეატრიდან; იმას კიდევ ხელფანების შეურაცხყოფილნი დიდს ვერაფერს დააკლებენ, წართმევენ მხელათ ბილეთის ფასს და მთელს სდამოს, მარა იმას კი, ვინც ახლა ეხვევა თეატრს, სამუდამოთ ჩუკვლენ გულში თეატრის სიყვარულს, სამუდამოთ შეაძულებენ მას სცენის ხელფანებს. აი, რა ზიანის მოტანა შეუძლიათ უმსგავსო „აქტიორებს“! მარა ავი მოგახსენეთ, რომ ბათიმლები დიდი მომთმენი არიან მეთქი! მათ თუბა კარგათ ესმით, რომ სამასხაროთ აივდეს, მოატევილეს, ტუვილა-უბრალათ დააკრვინეს დრო, მარა ის მაინც ითმენს ამგვარ შეურაცხყოფას და წარმოდგენის დასრულებამდე, თითქმის ზირველ საათამდე, ზის თეატრში და უერს უკლებს ხელფანების გაქვლევას. ეს კიდევ ცოტა... ის ვერ ხედავს საჭიროთ გამოაცხადოს თავის უკმაყოფილება და ასე გასინჯეთ, თუბა გული ამოეთებული აქვს, მარა ხან და ხან ტაშითაც კი აჯილდოვებენ თავის ამაშოთებულ „აქტიორს“! მიზეზი ამისა არ ვიცი, შეიძლება, ჩვენი მოქალაქობრივი განუგითარებლობა, მარა ის კი ვიცი, რომ სდამე განათლებულ ქვეყანაში, რომ „აქტიორებს“ ასე აივდონ საზოგადოება, ამგვარს „აქტიორებს“ არა თუ ტაშის ცემით დაჯილდოვებენ, სტუკენით მანამ არ მოასვენებენ, სანამ არ გაბრძანებენ სცენიდან.

არას ვიტყვი ზოგიერთ აქურ სცენის მოყვარებულზე. სცენის მოყვარებებს ხომ იმდენს ვერ მოგოთხოვთ, რამდენსაც ზროფისიონალურ აქტიორებს. გვეწვიენ აქ ამას წინეთ ქუთაისის დრამატული დასის აქტიორები. არ ვიცი, მართლაც ქუთაისის დასის წევრები ბრძანდებიან ის ვაჟბატონები, თუ ამამაც მოგვატევილეს, მარა ავიშით კი გავუწიეს: ქუთაისის დრამატული დასის აქტიორები გამართვენ წარმოდგენას, წარმოდგენენ აკაკის „კინტოსო“. წავედით. თეატრი სულ გაივსო მსურებლებით. მარა ვაი იმ წასვლას! ავივდეს, მოგვატევილეს, შეურაცხვეს თავის-თავი, ჩვენც და ქართული ხელფანებაც. მოგახსენეთ მომთმენი განსვარათ მეთქი და ჩვენც განხატეთ სული, მოგითმინეთ. არ გავულო ქუთაისის დრამატულ დასის მიერ ჩვენი ავლების, ჩვენი შეურაცხყოფის შობუკვდილებს ჩვენში, რომ კვლავ ვინილეთ საფიშია ფინტებზე დიდის ასრები დაბუკვდილი აფიშა. გვაუწიებენ: „თფილისის დრამატული დასის არტისტები ბ-ნი ვ. ურუშაძე, ბ-ნი წუწუნავა და სხ. სცენის მოყვარეთა დახმარებით 1 სექტემბერს გამართვენ ქართულ წარმოდგენას, წარმოდგენენ „სამშობლოს“; ლ. ხიმშიაშვილის რილს შესრულებს ბ-ნი ვ. ურუშაძე, შავისას—ბ-ნი წუწუნავა. თქვენი უმორჩილესი მონა კარგათ იცნობდა ბ-ნი ვ. ურუშაძესაც და ბ-ნი წუწუნავასაც და ამიტომ ივიც კარგათ იცოდა, თუ „სამშობლოს“ როგორი წარმომადგენლები ბრძანდებიან ეს ვაჟბატონები! მარა ყველას ხომ არ ექნებოდა ამ „დიდებულ მხანიობთა“ ცნობა! ბევრმა იფიქრა: ქუთაისის დრამატულ დასის არტისტებმა თუ მოგვატევილა, თფილისისამ იქნება არ ჩაიღინოს ესო. თეატრის დროაზი სულ გაიკვდა ხალხით. მეც გადავწვიოტე დავსწრებოდი ბ. ურუშაძის მიერ ხიმშიაშვილის რილს შესრულებას და წუწუნავას—შავისას.

მე არას ვიტყვი აქ იმ სცენის მოყვარებულზე, რომელნიც თფილისის დრამატულ დასის არტისტებს, ბ-ნი ურუშაძეს და ბ. წუწუნ-

ნავას ეხმარებოდენ „სამშობლოს“ დამახინჯებაში. ავი შექნება აქ მხელათ ბ-ნი „არტისტების“ შესახებ. ზირველი სიურბრიზი ბ-ნი „არტისტების“ მიერ საზოგადოების წინაშე მოსახლეობის იყო, რომ 10 საათის ნახევრამდის არ გაკვნიდეს „სამშობლოს“ მათი ხილვისა. ბოლოს, როგორც იყო, გვეშველა. ვინილეთ სცენაზე თეატრის კარიკატურა. მარა ამ კარიკატურისათვის დიდი უნრადლება არ მიუქცევია საზოგადოებას. უცდიდენ ლ. ხიმშიაშვილის გამოსვლას. დაიწყო მერე მოქმედება და სცენაზე შემოდგუნდულად ერთი ზატარა ბიჭი. მიუახლოვდა ქეთევანს და დაუწყო დრეკა. ეს ზატარა ბიჭი გახლდათ ბ-ნი თფილისის დრამატულ დასის „აქტიორი“ ვ. ურუშაძე, ხიმშიაშვილის რილს აღმასრულებელი ამაზე უფრო მეტი ავლება საზოგადოებისა გავრინოდა! სდ ბ-ნი ურუშაძის ტანტალი და სდ ხიმშიაშვილი სდ ურუშაძის „ახოვანება“ და დრამატიზმი და სდ ლევანი ბ-ნი ურუშაძე ხიმშიაშვილის რილში ათასჯერ უფრო მოგავრინებდათ სახუმარო ურუნაღის „სტრეკოზის“ ტიპს, ვინემ ლ. ხიმშიაშვილს იმდენათ მოგვაბეზრა ამ ზატარა ბიჭმა თავი, რომ რილს ეს სცენიდან განდგუნდულდებოდა, ჩვენც თავისუფლათ ამოვისუნთქავდით. მარა არ გავულოა დიდ ხანს, რომ ამას მერეც დაემატა. მოისმა სცენის სიდრმიდან სამხედრო მუსიკის ხმა. სცენაზე მეოთხი მოწიწებით მიდგენ კუთხეში. ჩვენც განხატეთ სული. რა ამბავია მეთქი,—ვკითხე ამხანაგს.—სუ, დიდებული შავი მობრძანდებო—მიოხრა მან და რილს სიცილი წაკვსკადა. მართლაც, გამოჩნდა მერე ზატარა ბიჭიც, თავზე შავის ქუდი ეხურა, გვერდზე ხმალი ქონდა მოკვებული, მარა ისე, რომ ხმლის ტარი უფრო დაბლა იყო დაწეული და ბოლო კი—უფრო მაღლა. ხმალი ტანისამოსში განსირებოდა. შამოვიდა ჩქარის ნაბიჯით, თითქმის სირბილით. ძალზე მოხრილიყო და ეს მის ისედაც „ახოვანს“ ტანს კიდევ უფრო აზატარავებდა. უშნოთ გაბუტულიყო. სწორეთ ისე, ბავშს რომ შავის არ მისცემ და გაბუტება. აცუნდულად და ტანტზე დასკუბდა, ვითომ და დრმა ფიქრში ვარ და თან გაბრძანებულდ ვარო. აქეთ-იქიდან ფხუტუნი მომესმა...

„სამშობლოს“ ერთი იმ ზატრიოტულ დრამატავანია, რომლის ბადალი არ მოკვება ქართულ სცენას; მისი გმირები ისეთი გმირებიან, რომ მათი დასახვა ნიჭიერ არტისტებსაც კი უხილდებათ. და ნუ თუ სასმოთებელი არ არის, რილს ასეთ გმირებს ურუშაძე-წუწუნავები ამახინჯებენ! ჩვენ ძალიან შორს ვართ იმ აზრზე, რომ ახალგაზდებს გული გაუტეხოთ, მარა იმ აზრზედაც შორს ვართ, რომ ვინმეს ზირში მოგეფეროთ. ამით მათ უფრო ზიანს მოგუტანთ, ვინემ სარგებლობას, სდ ურუშაძე და სდ დრამა! ურუშაძისა და წუწუნავის რილები—იმერელი მოსამსახურეების რილებია და მეტი არაფერი! მართალია, ბ-ნი წუწუნავას ვიდაცა რხურგეთიდან ძალიან აღმერთებდა „ივერიაში“, ეს არტისტი (იგულისხმეთ წუწუნავა) დიდი ნიჭის ზატრიონიაო,—მარა ეს მხელათ იმას ამტკიცებს, რომ „ივერიაში“ კარესზინდენტი რხურგეთის არ გაცილდებია და ფინია სხილათ მოჩვენება! გულ წრფელათ ვურჩევთ ურუშაძე-წუწუნავას, რომ თავის ტუავში დამავრდენ, ნუ მოკიდებენ ხელს ისეთ რილებს, რაც მათი საქმე არ არის. ითამაშონ მოსამსახურეების რილები და ეს გაცილებით უკეთესი იქნება მათთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ამით არც თავის თავს დაიმტირებენ და არც ზიანს მოუტანებენ საზოგადოებას.

კ ტო.

**ზიანთურა.** ჭიათ ურას კვლავ ეწვია კრიზისი. შავი ქვის ფასმა ისე სავრძინდლათ დაიკლო, რომ წასული წლები, რომლებმაც კრიზისით განვლეს, ამასთან სახსენებელიც არ არის. ამბობენ ამ უცნრათ ქვის ფასის დაცემას არ უნდა შეუძინდეს კაცი, მაღე გაივლისო, მაგრამ სათუთა, მით უმეტეს, რომ ის ერთათ-ერთი ამხანაგობა „შავი ქვა“, რომლის დაარსებასაც მთელი წელიწადი შეაღიეს, ვერ გამოდგა ისეთი სიმძლო, როგორც მოსდლოდნე



ლი იყო. მისი დაარსება შირველათ ეველა წვრილ მწარმოებელს ხასიათდებოდა მაინც, ხელა წინააღმდეგი იუვენ აქაური ექსპორტირები. და, თუცა მართლაც მაშინვე ვერ გაბედა ეველა მწარმოებელმა შესვლა სსენებულ ამხანაგობაში, მაგრამ მეტი ნაწილი კი წვერს გახდა და დანარჩენებიც თქმდებოდა შექმნილად; ხელა თუ შირველსავე შეკითხვაზე შექმნილად, ეს ასეც უნდა მომხდარიყო; მაგრამ როგორც ვთქვით მისი საქმე ვერ მოეწეა კარგათ, დამბრკოლებული მიზეზი ბევრი ამოხსნა. მაგ, ვერ იმოვა სკამა ბაქანები, სადაც შექმნილად შუდამ ქვის მიღება და ისიც უფლებადვე ხარისხისა, ვერ გაიდა ქვა, რომ ქონდა მუდმივი მიღება იმ ცენტრ ბაქანებზედ; რომელიც დღეს აქვს. ასე რომ შთელი მისი არსებობის განმავლობაში მხოლოდ სამი დე თვე ქონდა განუწყვეტელი მიღება ქვის წვერებისაგან. შემდეგ ბაქანების უქონლობის გამო შექმნილად რამდენიმე თვეს და აი ხელა ცდა ხუთ აგვისტოს შეიძინა ერთი რვა საყინიანი ბაქანი, რომელიც ერთ კვირის საყოფი თუა. დაიწყო მიღება, მაგრამ დაკლებულ ფასში და არა მასანდაში, ე. ი. შავ ქვაში 7 1/2 და 8 კ. მაგიერ 6 1/2 კ. წითელი ქვის ნახევარი კ. მაგიერ ხუთ ნახევარი კ., ხელა მარცვლავანი 6 კ. მაგიერ ოთხი და ოთხ ნახევარი კ., თუ იკითხეთ, რათ ჩაიღიეს ეს, მასხუხათ მიიღებთ ბაქანები არ არის, ქვა ვერ გაუიდეოთ და სხვა. ე. ი., როგორც ხელავე შეკითხვლი, ეს დაწესებულია შექმნილად ფორმულადსური, რომელიც წინეთ არსებობდა. ეველა ამ მიზეზების გამო ხელ მოკლე წვერები იძულებულნი შექმნილად სხვასთანაც გაუიდათ ქვა და ასეც მოქმედენ. მიუხედავად მათგან დადებული შარბებისა ამათში მეტმა ნაწილმა თავიდანვე სხვებს დაუწიეს ზიდავა, რადგან სხვაგან ფასსაც მეტს აძლევენ და ქვასაც უფელ ხარ ღირსებისას ასალებენ. მიუხედავად ამისა, თუცა ზოგი მათგანი უკვე დაჯარაიმეს და სხვა. ამ ხარათ ჭიათურამ ერთხელ კიდევ წაიხარბა, რადგანაც ამხანაგობის მასანდა სხვებმაც მასანდათ დაწესეს და ქვას ფასი როგორც ვთქვით მეტის მეტათ დაეცა.

ა. ხაბულიანი.

**ჩიბათი.** (გურია) ჩიბათი ითვლება ერთ მხარდილ საზოგადოებათ. ჰვა ჩიბათში საღია. ჩიბათის საზოგადოება დასახლებულია სამ წოდების ხალხით: ახნურით, სასულიერო წოდებით და გლეხ-კაცობით. უმეტესობა კი გლეხები არიან. მცხოვრებლებს უმთავრეს სარჩის შეადგენს სიმინდი, დამი, ღვინო და აბრეშუმის კეთება. სიმინდის მოსავალი წელს ძლიერ ნაკლება იქნება ჩიბათში ხშირი წვიმების გამო. ღვინის მოსავალმაც ძლიერ აკლდა ამ საზოგადოებაში, რის გამოც ზოგიერთმა მცოდნე შარბმა საზოგადოებაში შემოიღეს დამინდი ვაზების გაშენება. ჩიბათის მცხოვრებლებში დღეს ფელის დიდი სიძვირეა ამის მიზეზი არის შირველათ ის, რომ ჩიბათის საზოგადოებაში სიმინდის მოსავალმა ძლიერ აკლდა და ხალხი ვეღარ უიდას სიმინდს; მეორეთ ის, რომ ტყე, რომელიც ბევრ სავაჭრო სეს აძლედა ჩიბათის მცხოვრებლებს, დღეს ძლიერ გამქნსრდა და ხეებს აღარ იძლევა. გზები ჩიბათის საზოგადოებაში კარგ მდგომარეობაში არიან შედარებით ძველ დროის გზებთან. აუადმყოფობა წელს ჩიბათში ხშირია. მცხოვრებლები ხდებიან ავად ციებ-ცხელებათ, მუცელათი და სხვა სენით. სწავლა-განათლების საქმე ჩიბათში ძლიერ კარგი ნაბიჯით მიდის. ჩიბათელს აქვთ ერთი ორკლასიანი სამინისტრო შკოლა, რომელიც აშენებულია სოფელ გამახურში. გარდა ამ ხერთო სკოლისა ჩიბათის საზ. სოფლებს აქვთ კიდევ თავიანთი სკოლები. ღესში არის აკებული ერთკლასიანი სამრეველო შკოლა. ჭინათში არსებობს ერთკლასიანი სამინისტრო შკოლა. ზემო ჩიბათში კი არის დაარსებული ერთკლასიანი სამრეველო სკოლა. ჩიბათში არსებობს ორი სამკითხველო: ერთი ზემოჩიბათში და ერთი გამახურში. ზემოჩიბათის სამკითხველოს საქმის გამოსაკეთებლათ ათ მარობისთვეს ქონდათ კრება ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებმაც ერთ-

ხმით აირჩიეს სამკითხველოს მართველათ ადგილობრივი მოკლედი მასე ჯორბენაძე. დანარჩენმა შარბმა ხელი მოაწერეს სამკითხველოს შეწევნაზე. გადაწყდა რომ ეს ფულები შემოკლავდნენ ერთი თვის ვადაში. ხანს, რომ ზემოჩიბათელსა გამოეფიქრეს და აწი სამკითხველოს საქმეს კარგათ წაიყვანებენ. გამახურის სამკითხველოს საქმე კარგათ მიდის. დღეს სამკითხველო მოთავსებულია ახლათ აშენებულ საკუთარ შენობაში. აქაური მცხოვრებნი მეტათ ზრუნავენ სამკითხველოს საქმის გამოსაკეთებლათ და განსუქობესებლათ. გაზეთების სამკითხველო მოკლებული არ არის. ორავკში და ჭინათში სამკითხველოები არ არსებობენ. არც ისე დაახლოებული არიან ამ ორ სოფლის მცხოვრებლები ზემოჩიბათის და გამახურის სამკითხველოებთან, რომ იქ სიარული იწიან და არ დარჩენ ახლ ამავს მოკლებულნი. საჭიროა ჭინათში და ორავკში მიბაძენ ზემოჩიბათის და გამახურის და თავიანთ სოფელში დაარსონ სამკითხველოები და ამით შეუწყონ ხელი სწავლა-განათლების გავრცელებას.

სიმ. ნ. ჯორბენაძე.

**ანდკი ნამოქვისკიდან.**

**I. ქუჩის ბავშვები.**

სატახტო ქალიქი ქეფობდა. სახლების ყველა ფანჯარა იყო გაბრწყინებული. მარხილები ერთი-მეორეზე მისრილებდნენ და ზარებს აწკარუნებდნენ. ქარი დადგა; თოვლი დიდრონ ფთილებათ ჩამოსდიოდა და მოკირწყლულ ქუჩას ეფინებოდა...

უკანასკნელი სამშაბათია! სახლებიდან მუსიკის ხმა ისმოდა. ოჰ, რა კარგია, რა მხიარულობაა! თუმცა გულში ტკივილი და წუხილი იმალება, მაგრამ პირისახეზე მაინც კრთის ღიმილი. ან ღიმილზე რაღაც ტანჯვაც მსუბუქდება...

ქვაფენილზე მიღოდა ბიჭი; ხელები ჯიბებში ჩაეყო და ქუდი თვალებზე ჩამოეწია. ის სტვენდა, უთუოთ ჩვეულებით და არა მხიარულობით. მისი სახე სიცივისაგან გალურჯებულიყო და დროგამოშვებით შეჩერდებოდა, ხან მოლრანჯულ წაღებს აბრაგუნებდა, ხან კი სახლის კედლებს ურტყამდა, რომ ცოტათი მაინც გამთბარიყო... რამდენჯერმე შეეხებოდა მიმავალს, სთხოვდა წყალობას, მაგრამ ყველა მოტრიალდებოდა და ქვეით მიეჩქარებოდა. ბიჭმა ვერ გამოითხოვა ვერც ერთი გროში.

უცბათ იქვე გადმოსახვევიდან გამოხტა ბიჭი, იხველა ტანის, უფრო დაგლეჯილი, უფრო დაბეჩავებული. მაგრამ ეს მხიარულათ დახტოდა და სტვენდა. ბიჭებმა ერთი-მეორე შეიცვენეს...

— ანტოს!

— კუბუს!

გამოესალმენ და მაშინვე მეორე მხარეს მიაშურეს, რადგან „პარადის“ მარხილები მოქროდნენ და კინალამ ვაჭეჭყეს ეს საცოდავები. კუბუსი დაიღუნა ძირს, დაკუმშა თოვლი და ისე მოხდენილათ ესროლა მათ, რომ „ქუჩერს“ ზეკაკალ დათვის ტყავის ქუდზე მოხვდა.

— ეგეც შენ! მიიძახა მან; მერე მიუბრუნდა ამხანაგს და ნაღვლიანათ უთხრა:

— ყველიერი! ესეც შენი ყველიერი! მუცელში მუსეკაა!!

— ეგ ვერაა კარგი! დაუმატა მოწყენით ანტოსმა. ისინი დაღუმებული იყვენ ერთს წაას.

— შენ ჰამე რამე დღეს?—დაეკითხა კუბუსი.

— შენ? უპასუხა ანტოსმა.

შეხედეს ერთი-მეორეს თვალბებში. კუბუსი მიეყრდნო კედელს და ამოიოხრა:

— სიცივია!...



— სიცივე!... უცბათ მიუგო ანტოსმა და ერთი კიდევ გააძიგძიგა...

მარხილები კიდევ მიქროლოვდნენ. ერთიდან ქალის გულიანი სიცილი გამოისმა. კუბუსმა გააყოლა მარხილს ოვალი და თქვა:

— მიყვარს, როცა მხიარულობა!

-- მე შევეჭამდი რამეს, — ჩაიფურუნა ანტოსმა, — საძაგელია სიმშილობა!

კუბუსმა სერიოზულათ გადახედა ამხანაგს და წარმოთქვა:

— ოჰ, ეს კი ძლიერ საძაგლობაა, როცა ჭამა გინდა!

კიდევ ჩამოვარდა სიმშირიდე... უცბათ კუბუსი გადაიქრა შუაგულ ქუჩაში, ერთი დაუსტვინა და დაიყვირა:

— ე... ე... ე! ეშმაკმა წაიღოს!...

გაისწორა ქუდი და დაუკვივლა ამხანაგს:

— მშვიდობით ანტოს!

და გასწია ქუჩაზე. ანტოსმა გააყოლა მას თვალი, ხელები ისევ ჯიბეებში ჩაიყო და წავიდა ქვეით; ქუდს კი დრო გამოშვებით თვალზე იწვედა...

სატახტო ქალაქი კი ქეიფობდა და ქეიფობდა, თითქო ხვალ ქვეყნის დასასრულს ელოდებოდა...

ანტოსმა გადაიხედა სახლების თანჯარებში და ფიქრობდა... დიდხანს ფიქრობდა...

შეიძლება მას ეგონა, ვითომ ამ ქალაქს ემხიარულებოდა, როგორც კუბუსის...

გ. რ.

### რუსეთის ცხოვრება.

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობამ მოიწადინა პეტერბურგის თვით-მართველობაში ცვლილების მოხდენა. „პეტ. გაზ.“-ი იუწყება ახლა, რომ ხმოსანთა მომავალ არჩევნების დროს, სახლის პატრონთ გარდა, ხმის უფლება მიეცემათ ბინის პატრონთა ერთ ნაწილსაცაო.

— ფინანსთა სამინისტროს პეტერბურგში სახაზინო არყის საწყობთან დაუარსებია საზოგადო განათლების კურსები მუშათათვის. კურსებზე ცხრა განყოფილებაა: ორი წერა-კითხვის მკოდნე კაცთა და ქალთათვის, ორი — წერა-კითხვის ცუდათ მკოდნეთათვის და ხუთი — წერა-კითხვის სულ არ მკოდნეთათვის. საზოგადო განათლების საგნებს გარდა ასწავლიან ხელოსნობასაც. ფიქრობენ, კვირა უქმობით საუბრები გამართონ: წაიკითხავენ ადვილ-გასაგებ ლექციებს ფიზიკიდან, ქიმიიდან და სხვა საგნებიდან. მეცადინეობა საღამოობით იქნება 7 დან 10-სათამდე. მიიწვიეს ცხრა მასწავლებელი ქალი. კურსებზე ჩაეწერა ჯერ-ჯერობით 200 კაცი.

— სამკურნალო დეპარტამენტმა ფული გადადო იმათ დასაჯილდოვებლათ ან შემწეობის აღმოსაჩენათ, ვინც სახალხო სამკურნალო წიგნაკებს გამოცემს. ლაპარაკია აღძრული, რომ ამ საქმეში ქალაქისა და ერობის თვით-მართველობანიც დააინტერესონ.

— საკონკურსო ვგზამენების შემდეგ კიევის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში მიუღებელი დარჩა 100 კაცამდე, ყველანი სტუდენტებათ ნამყოფნი და შარშან დათხოვნილნი არიან. ახლა, როგორც „რუს. ვედ.“-ი გადმოგვცემს, ამ სტუდენტებს შუამდგომლობა აღუძრავთ საერო განათლების მინისტრის წინაშე იმის შესახებ, რომ ყველანი უკონკურსოთ უკანვე მიღებულ იქნენ. ამ საქმისათვის ინსტიტუტის მთავრობის ნებართვით პეტერბურგში გაგზავნილ იქნა ორი სტუდენტი, ნოვიკოვი და დანიი; ამბობენ, მთავრობა შეიწყნარებს იმათ შუამდგომლობასაო.

— სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს, რომ მთელი რუსეთში ყოფილა 200,600 მეტი მუნჯი და ყრუ. მათგან ცოტადნათ ნასწავლია ერთი მეთექვსმეტედნი. მუნჯებიდან ძვილეს ერთ მეექვსედს ასწავლიან და ისიც სპეციალურ სწავლებლების საშვალეებით. იბადება კითხვა, რომ ამ საქმეში თვით მთავრობა ჩაერიოს. და აი, კიდევ ხელმწიფე იმპერატორის მარიამ თეოდორეს ასულის მზრუნველობას აღუძრავს კითხვა სამინისტროში მუნჯ-ყრუთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. სამინისტრომ ძლიერ თანაუგრძნო მზრუნველობას და მომავალში დაიწყებენ მუშაობას ამ საქმის შესახებ.

— 1901 წელს ხაზინას დიდი შემოსავალი ქონდა მაგარ სასმელების დუქნებიდან. ამ წელს სულ სახაზინო დუქნებში გაყიდულა 382 მილიონ მანეთის სასმელი წმინდა მოგება 55<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიონი დარჩენილა.

— როგორც „სარატ. გაზ.“ გადმოგვცემს, ამას წინეთ სარატოვში ღურგალთა ამქრის ქარგლებს ყრილობა ქონიათ, რომელზედაც დაუდგენიათ, მოკრიბონ ცნობები ქარგალთა ყოფა-მდგომარეობის შესახებ, იმავე ყრილობაზე დაუდგენიათ დაბრსონ ურთიერთ დამხმარებელი კასა და მოაწყონ გონივრული და სასარგებლო გასართობები. სამწუხაროთ, ამ საკეთილო საქმეს ხელი არ შეუწყო სახელოსნო გამგეობამ, რომელმაც ის ქალაქდებიც კი არ დაარეგა სახელოსნოებში, სადაც ქარგლებს უნდა ჩაეწერათ ცნობები თავიანთ ყოფა-მდგომარეობის შესახებ.

— რუსეთის გუბერნიებში ერობამ ბევრი შრომა გასწია სწავლა-განათლების გავრცელებისათვის. ბევრგან ლაპარაკი აღძრეს საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ. ოდესის სამაზრო ერობა, მაგალითათ, აარსებს ეხლა იმდენ ახალ სასწავლებელს, რომ ოთხი წლის შემდეგ მაზრაში ყველა სასკოლო ბავშვს შეეძლება სწავლის მიღება. დღეს მთელ მაზრაში მხოლოთ 1000 ბავშვისთვის არის ადგილი სკოლებში.

### სახლვაჯარკეთ.

**საზრახვეთი.** დრომის დეპარტამენტში კვირას სენატორის არჩევა მოხდა. აქაური სენატორი რადიკალი ბიზარელი გარდაიცვალა და მის მაგიერ რადიკალ-სოციალისტი, დეპუტატი მორის ფორი აარჩიეს. ბიზარელიზე წინ ამ დეპარტამენტის წარმომადგენლათ სენატში ეხლანდელი პრეზიდენტი ლუბე იყო.


ჟორესი აცხადებს „პტიტ-რეპუბლიკ“-ში: რაწამს პარლამენტი შეიკრიბება, ჩემი პარტია მოითხოვს, რომ ყველაფერი, რაც კი საყურადღებოა ნანტის პროცესში, დაიბეჭდოს და მთელ საფრანგეთში გაიკრას; უნდა გამოცხადდეს მაგალითათ გენერალ ფრატერის ბრძანება, პოლკოვნიკ სენ-რემის პასუხი და სამხედრო სასამართლოს განაჩენი: ჯარის-კაცებმა უნდა იცოდნენ, თუ რას ნიშნავს სიტყვა „დისციპლინა“, სადამდე უნდა დაემორჩილონ უფროსებს და როდის შეუძლიათ თავიანთ ჭკუით და თავიანთ ნებაზე მოიქცენო.

### ქურნა ლგა სკოლებიდან

„ივერია“ № 186:

„...კავკასიელ თათრებს, მაგალითათ, აქვთ რამდენიმე პროვინციალური ენა, კილო-კავი, რომელნიც დიდათ განიჩევა მათი დედა-ენიდან, რომელსაც ქვეა ადერბეიჯანური ენა. სახელმძღვანელო წიგნები თათრული ენისა და რუსულის ყველა თათრული სკოლებსათვის მხოლოთ ამ უკანასკნელ ენაზე არიან შემდგარი და ეს სახელმძღვანელოები იხმა-





რებიან ყველა თათრულ თემთა შორის, სადაც კი სკოლები არსებობენ... და ახლა ყველა თათრულ სკოლებში იხმარებიან ეს სახელმძღვანელოები, ადგილობრივი თათრული კილო-კავების დახმარებით და ავრცელებენ თათრულ დედა-ენას ყველა კავასიელ თათარ თემთა შორის, მისი შუამავლობით ცოდნას ფენენ ხალხში და აერთებენ, ერთ კუმშამენ ყველა თემების თათრებს.

ასეთი წესია სომეხთა შორისაც. ამ ხალხსაც, მთავარი სომხურის გარდა, აქვს პროვინციალური ენებიც... მიუხედავად ამისა, ყველა სომხურ სკოლებში იხმარებოდნენ და იხმარებიან სახელმძღვანელო, რომელიც შედგენილი არიან ლიტერატურულ დედა-ენაზე...

ასეთი გონივრული წესი იყო ჩვენ საქართველოშიაც მას უკან, რაც ქრისტიანობა მიიღო ჩვენმა ერმა და დააარსა სკოლები. მეოთხე საუკუნიდან დაწყებული დღემდე დღემდე ყველა ჩვენებურ სკოლებში, შავი ზღვიდან დაწყებული დაღისტნის საზღვრამდე, იხმარებოდა მხოლოდ წიგნები, საერთო ლიტერატურულ დედა-ენაზე დაწერილი. განსამარტავათ ადგილობრივ გაუგებარ სიტყვების და ფრაზების, მასწავლებლები ხმარობდნენ სიტყვიერათ ადგილობრივ ტერმინებს და ფრაზებს, მაგალითათ, სამეგრელოში და სვანეთში, და სწავლასთან ერთათ ავრცელებდნენ დედა-ენის სრულ ცოდნას. ვინ მოიფიქრებდა, თუ ამ გონივრულ წესს, ღვთისაგან დალოცვილს და კაცთაგან მოწონებულს, მოწინააღმდეგენი გამოუჩნდებოდნენ ჩვენ ქვეყანაში, საქართველოში. მაგრამ მოულოდნელი ასთა, შეუძლებელი აცხადდა. და აცხადდა მხოლოდ ჩვენში და სხვაგან არსათ არც სომეხთა შორის, არც თათართა შორის და არც სხვა კავასიელებში არ აღმოჩენილა იმისთანა ქვე-მოკლე და უკუდმართი ადამიანი, რომელსაც ეთქვას, სკოლებში სწავლება თემურ კილო-კავებზე უნდა იყოს და არა დედა ენაზე.

ჩვენში კი აღმოჩნდნენ იმისთანა ქუჩით გლახანი, რომელთაც გაბედეს და წარმოსთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან დედა-ენა უნდა იქნას გამორიცხული, რადგან აქ ხალხი ადგილობრივ კილო-კავებს ხმარობსო...  
\* \* \*

„ვერია“ № 191:

„მასწავლებლის ნიუთიერათ ცუდი მდგომარეობა არ შეიცავს მარტო ჯამაგირის სიკოტავეს, არამედ ყველა იმ პირობებს, რომელშიაც მას უხდება ცხოვრება და შრომა. ბევრ მასწავლებელს ეძლევა ჯამაგირი პირდაპირ იმ საზოგადოებისაგან, სადაც მსახურობს. ამისთანა მასწავლებელი, თითქმის, სრულიათ დამოკიდებული არიან სოფლის მთავრობისაგან — მამასახლისისა და სოფლის მწერლისაგან. დიდი ხვეწნა სჭირდება მასწავლებელს, დიდი ვედრება, რომ დროზედ მიიღოს ჯამაგირი. „მამასახლისი ბოჭავს (მასწავლებლის ჯამაგირს) მთელი წლის განმავლობაში. ამის წყალობით მასწავლებელი იღებს ჯამაგირს, თითქმის, კაპეიკობით და ხანდისხან 6—7 თვის შემდეგ. იყო შემთხვევა, რომ მასწავლებელს არ მიუღია ჯამაგირი მთელი წლის და წელიწად ნახევარის განმავლობაში“ (Циркул. К. У. О., май 1902 года). სულ მცირე რამესათვისაც კი, როგორც არის წერილის გაგზავნა, სჭირდება მასწავლებელს სოფლის მთავრობასთან ვედრება. მოშორებულ სოფლიდან წერილები დააქვს „ჩაფარს“ და, თუ მასწავლებელს სოფლის მთავრობასთან კარგი განწყობილება არა აქვს, მისი წერილები გაუგზავნელი რჩება. ბევრი მასწავლებელი, ამისთანა პირობებში ჩავარდნილი, კარგავს თავის პატივისცემასაც, ეცლება ენერჯია და ლაზრულ ცხოვრებას ეტანება. მას მოსწყვიტა წელი უიმედობამ და სასიწარკვეთილებამ. „ეს კი კაცის მოქმედებას ალაზრებს და აზროვნე-

ბას უთახსირებს“. ამისთანა კაცს კი ყველა ფეხს წაკრავს და პატივისცემა, აბა საიდან ექნება.

ყველა ზევით ნათქვამიდან გამოვიყვანოთ სწავლებლის სკენა. სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროა ნიუთიერათ და იურიდიულათ მათის მდგომარეობის გაუმჯობესება. ნიუთიერათ გაუმჯობესება გამოიხატება ჯამაგირის გადიდებით; იურიდიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროა: ჯამაგირის ვადების მოწესრიგება, თითონ მასწავლებლების გონებით განვითარება და საზოგადო ცხოვრებისთვის მომზადება. ამ უკანასკნელის პირობის სისრულეში მოსაყვანათ საჭიროა სემინარია თავის მოწაფეებს აძლევდეს, გარდა სპეციალურისა, საზოგადო განვითარებას; საჭიროა აგრეთვე მასწავლებელთათვის საზაფხულო კურსების გამართვა, რათა მთელი თვეობით და წლობით მიყრუებულს სოფლებში ნამყოფი მასწავლებლები ცოტათი მაინც გამოფხიზლდნენ; განახლონ თავისი ცოდნა და შეითვისონ ზოგი-რამ ახალი. მაგრამ, რომ კურსებმა მეტი სარგებლობა მოიტანოს, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს საზოგადო საგნებს. „კურსების პროგრამაში საზოგადო საგნების შეტანას ქონდა დიდი შედეგი. ბევრი მასწავლებელი მოდიოდა კურსებზე თავისი ხარჯით, როგორც თავისუფალი „მსმენელები“ („Бирж. Вѣд.“ № 157—1902 года). საჭიროა გაუმჯობესება და დაარსება, სადაც არ არის, მასწავლებელთა ბიბლიოთეკებისა; საჭიროა დრო-გამოშვებითი კრებები მასწავლებელთა ცხოვრებისაგან წამოყენებულ სხვა-და-სხვა კითხვების გადასაწყვეტათ.

ყველა ესე ცოტათი მაინც გააუმჯობესებს მასწავლებლის მდგომარეობას და, შეიძლება, იმათაც შეიგონ თავისი საზოგადო თვითცნობიერება. თორემ ეხლანდელ პირობებში მომუშავე მასწავლებელს უნდა საღი გონება, მტკიცე ხასიათი და ღონე, რომ შეირჩინოს ნამდვილი მასწავლებლის სახელი. ინი.

\* \* \*

სიონისტების კრება მინსკში დასრულდა. კრებისა და სიონიზმის გამოა გაზეფებმა სხვა-და-სხვა აზრი გამოთქვეს: ზოგი თანაუგრძნობს სიონისტებს, ზოგი კი დაცინის. საინტერესოა „რუსკ. ვედომ.“-ს აზრი. გაზეთი, რასაკვირველია, პატივისცემით იხსენიებს ებრაელთა ცდას, მაგრამ ამტკიცებს, რომ სიონიზმის განზრახვათა ასრულება შეუძლებელია. გაზეთი ამბობს:

თუ შეკადრებთ იმ ბრწყინვალე ებრაელს, რომელთაც სიონისტების მეთაურნი ეძლევენ ებრაელთა ხალხს და იმას, რაც ნამდვილათ გააკეთეს სიონისტებმა, უნდა აღვიაროთ, რომ მათი ნამდვილი მუშაობა მტკიცეა. უმოთხრესი საგნის სიონისტებისა ის არის, რომ პალესტინაში შექმნან ებრაელთა დამუკადებელი სახელმწიფო. სწორეთ ამ საგნის განსახორციელებლათ სიონისტებს ერთი ფეხი არ გადაუდგამთ წიხ; ხალხი არსებითათ თუ ვილაპარაკებთ, ამ საგნის განსახორციელება თითქმის შეუძლებელია არის... ებრაელთა ერთი, როგორც ერთიანი ხალხი, არ არსებობს; არიან რუს-ებრაელნი, გერმანელი ებრაელნი, რუმინელი ებრაელნი და სხვანი, რომელთათვისაც რეალურად მხოლოდ მათ საცხოვრებელ ქვეყანასთან ვაჭობია; ეს ვაჭობია ბევრათ უფრო ნამდვილი და მჭიდროა, ვიდრე მოგონილი ერთობა ყველა ებრაელებისა; ხალხი სახელმწიფოს შექმნისათვის საჭიროა რეალურ-კულტურული ერთობა. სიონიზმის იდეა იგივე მოძღვრებაა, რომელიც ფეიქრობდა, რომ სახელმწიფოს დაარსება სელსკურულიათ შეიძლება. მაგრამ სახელმწიფოს შექმნა სელსკურულიათ არ შეიძლება; სახელმწიფო არის განსაზღვრული საზოგადოებრივი ცხოვრება განსაზღვრულ ტერიტორიაზე, შექმნილი ისტორიული პირობებით და არა შეუერთებელ, მთელს დეადმიწაზე გა-



ფანტუელ ადამიანთა გონებით. სიონისძმისა კი მონადრმა ყველას ისტორიულ საზოგადოებათა კანონის დასტურება. ვთქვათ, სიონისტებმა მოასურეს და სულოანისაგან ნებათაგა მიიღეს ზალესტინისაში სახელმწიფოს შექმნისა; ვთქვათ ისინი, რომ აღსადეს ყველას კბრაქები და შეკრუისეს მას სახელმწიფოს შექმნის საჭიროება; ამ შემთხვევაშია მათი განზრახვა აუსრულებელია. აუსრულებელია იმიტომ, რომ ზალესტინის ნამდვილი უდაბნოა, სხვადასხვა ცხოვრება არ შეიძლება. სიონისტების წახმდლომა იმდენა შრომაზე არ მიიღო თავისი თავზე, რომ ზალესტინის შექმნა ზალესტინის წიგნით მანქანა; იმიტომაცა, რომ სხვა ბევრი სიონისტი წუნობს ზალესტინისა და საბალო კბრაქით სხვა ქვეყნებზე უსითებს: ანაბეთზე, კიპრუსზე და არგენტინაზე... გარდა ამისა, თვით კბრაქთა უმრავლესობა ძალიან გულ-გრილთა უყურებს სიონისტების ქადაგებას. ძველ კბრაქთათვის სიონისძმის შრომატის ნამეტანი შრომარესიული სასიამოა აქვს; ახალგაზდობის ნაწილი კი თითქმის მტრათ გადაკიდება ახალ მოძღვრების მქადაგებლთ. იმიტომ თვით სიონისტებს შორის დაიბადა განსეთქილება, რომელიც დღითიდღე იზრდება და მატულობს. სიონისძმი დასაჯლეთ ეკონომის ბურჟუაზიის ქადაგებას, ამ ბურჟუაზიისა, რომელიც დიდთა შეურაცხყოფილია ანტისემიტების მოძრაობით; ხალხი კბრაქთა ხალხი ეკონომით არის შეაწრობული და მასთვის სიონისძმი მათი ქმნობდა მნიშვნელობა, თუ ეკონომით კეთილდღეობას მიცემდა. მაგრამ კბრაქთა ხალხმა ანტი-სემიტურათ შეაგნა, რომ ზალესტინისა დასასლება ლუქმას არ მიცემს და ისევე ამრეკისაგან გარბის. სიონისტების მოძრაობამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ კბრაქთა საკითხის გადაწყვეტა მასხერებელია იმავე ნიადაგზე და ამ სახელმწიფოში, სხვადასხვა ცხოვრებენ.

\* \*

„ცნობის ფურცელში“ № 1922 ბ-ნი კალამი წერს:  
 „ჩვენში არიან ისეთი ჯურის ადამიანები, რომელთაც ჩვენი ერთა ერთობა არ მოსწონთ, როგორც უნდა იყოს იგი... მერე რა უნდათ თვითონ მათ? მათ დიდებული წარსულის და ბრწყინვალე მომავლის ქართველებს (მათ გარდა სხვები ხომ ქართველები არ არიან!) და „თავ-გამოდებულ“ პატრიოტებს par excellence როგორ ეკადრებათ ვიღაც სომხებთან და თათრებთან ერთობა?! მათ შეფერით მხოლოდ ბატონობა და თუ უნდათ ერთობა, ისეთი ერთობა, სადაც პირველობა მათ ექნება მინიჭებული! ისინი არიან „ნაციონალისტები“, ისეთი „ნაციონალისტები“, როგორც ბრძანდებიან საფრანგეთის ანტი-სემიტები და რუსეთის სუვორინი, კამაროვი, გრიმ-გმუტი, პალმი და მრავალნი სხვანი. დღეს თუ ეს ჩვენი ნაციონალისტები სუვორინს და კამპანას უკეთებენ ერთა მჭამელობას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ხვალ რომ გარემოებამ შემთხვევა მისცეს მათ, სუვორინს თუ არ გადააქარბებენ, არ ჩამოუვარდებოდენ სხვა ერთა წინააღმდეგ „საჭირო“ ზომების მიღებით, და თუ დღეს გაუბედავთ „ეკონომიურს“, მშვიდობიანს ბოიკოტს თხოვლობენ სომხების წინააღმდეგ, მაშინ უფრო სასტიკ საშუალებასაც იხმარდენ და დევნას, შევიწროებას და განადგურებას დაუწყებდენ ყველა კავკასიელ ერს... ჩვენ არაფერი საერთო არა გვაქვს ასეთ „ნაციონალიზმთან“, ყოველთვის ვებრძვით და ვგმობთ მას!

მაგრამ არასოდეს არ გავცხდით ღმერთ-კებრათ ეროვნული არსებობა. ჩვენთვის პირველი საქმეა ადამიანობა და არა ქართველობა. ეროვნება არ არის თვით მიზანი. იგი მხოლოდ საფუძვლია უმაღლეს ერთობისა—საზოგადოებისადმი. თუ ვიცავთ ეროვნებას... იმიტომ, რომ ამით დავცემართ და ხელი შევუწყობთ ერთა სოლიდარობას, მივუახლოვით ერთი ერთი მეორეს. არ ვამბობთ ჩვენ—ქართველობა თუ არ ვიქნებით, ყველაფერი ცეცხლს შთაუნთქავს იყოს ქართველობა, მედრათ

დაიცვას თავისი უფლება, განვითარდეს, მაგრამ უნდა ახსოვდეს, რომ მას იქით არსებობს უფრო მაღალი საზოგადოება—კავკასია და უდიდესი საზოგადოება—კაცობრიობა—საზოგადოებრიობა ჩვენი ღმერთი, რომლის დიდებებს უნდა მოიხაროს ქართველის დიდებამ...

...ჩვენ ღრმით დარწმუნებული ვართ, რომ ერთობა, ადრე თუ გვიან, დაიმორჩილებს როგორც სომხის, ისე ქართველ შოვინისტებს“.

აქ „ცნობის ფურცელში“ სასტიკი, მაგრამ სამართლიანი მსჯელობა წარმოსთქვა. ერთში მხოლოდ ვერ ვეთანხმებით ბ. კალამს: ქართველ შოვინისტ-ნაციონალისტს ერთობა ვერ დაიმორჩილებს ისე, როგორც საფრანგეთის და ინგლისის შოვინისტ-ნაციონალისტები ვერ დაიმორჩილებია ერთობის, ძმობის და სამართლიანობისადმი სიყვარულს.

**ჩვენი ცხოვრებდან.**

ჩვენი ცხოვრება ამ უკანასკნელ დროს სდულს და გადადულს... ორივე გუბერნიის თავად-აზნაურობა მიადგა ერთს ძნელს საკითხს გადასაჭრელათ, საკითხს, თუ როგორ უნდა განაწილდეს უმაღლესათ ნაბოძები 40,000 მან. თფილისის თავად-აზნაურობამ ამას გარდა დაამთავრა თავის შემოსავლის 169,000 მან. განაწილება. მოაწია თფილისის ქალაქის არჩევნების ხანამ... კიდევ... მაგრამ ესეც კმარა. თვითელი ეს საკითხი შეადგენს თითქმის მთელ ეპოქას ქართველი თავად-აზნაურობის და თფილისის მოქ... მოქალაქეთა ცხოვრებაში...

დავიწყით 40,000 მანეთიდან. ქუთაისის თავად-აზნაურობა ადვილათ გამოუძვრა მძიმე ტვირთს, რომელიც მას ბედმა არგუნა. უნდა გადაეწყვიტათ კითხვა: მოხმარდეს ეს ფულები სტიპენდიებს უმაღლეს სასწავლებლებში, თუ მით დააარსონ რომელიმე შკოლა კეთილშობილთათვის? ხმები გაიყო. თავ. კირ. ლორთქიფანიძემ წარმოსთქვა: „მე მირჩევნია, რომ მილიონ ნახევარ ქართველებში ნახევარმა უმაღლესი განათლება მიიღოს, ვიდრე ყველამ „ჭყაპვა“ ისწავლოს.“

აღფრთოვანებული მომხრე „მეცნიერების“ და „უმაღლესი განათლებისა“ თავ. კირ. ლორთქიფანიძე, თავ. კ. აბაშიძე და მათი თანამოაზრენი იმ აზრს დაწვეს, რომ ამ ფულებით უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიები დაეარსებიათ... „მეცნიერების“ მომხრენი და მათ სათავეში კ. ლორთქიფანიძე წარმოსდგენ ნიცშესებურ იდეების დამფარველათ პრაქტიკულ ცხოვრებაში... მათ უნდათ მხოლოდ ერთი „ზე-კაცი“, მათ უნდათ შექმნან ჯგუფი დიპლომათებისა და დატოვონ უყურადღებოთ დანარჩენი უმრავლესობა ღარიბ თავად-აზნაურობისა... რამოდენიმე ათი ინჟინერი, ექიმი, იურისტი და სხვ., ათასობით კი, ვინც არცის „ჭყაპვა“... დეე, ათებმა იმჯელონ ფსიხოლოგიის როლზე სოციოლოგიაში, დეე, მარტო იმათ იკამათონ ცნოსეოლოგიურ კითხვებზე, დარვინიზმზე და ნეოლამარკიზზე, და ათასებმა კი არ იცოდეს „ჭყაპვა“... დეე, თავად-აზნაურობის ათას-ათასი ბავშვი ჩაფეულენ უმეცრებაში, არ ქონდეთ ელემენტარული ცოდნა ბუნების მეტყველებაში, დარჩენ საცოდავ მსხვერპლათ საზოგადოებრივ მატყურობისა; სამაგიეროთ ჩვენ ათ ძმებს ეცოდინებათ ბუნების კანონები, სახელმწიფოს წყობილებანი და სხვა... დეე...

მაგრამ, ვხედავთ, დადგა სხვა დრო... უფრო ფართო და საზოგადო ინტერესების დამცველი—შვილი წვრილ თავად-აზნაურობისა არკვევენ დღეს კითხვას კრებაზე. თუ თავ. კ. ლორთქიფანიძეს გონია, რომ უკეთესია რამოდენიმე ათი სტუდენტს გაეთავებინოთ უნივერსიტეტის კურსი, ვიდრე დავაარსოთ შკოლა უმრავლეს მასისათვის, სამაგიეროთ აღმო-



ჩნდნენ ისეთი პირებიც, რომლებმაც შესძლეს დაეცვათ ამ მასის ინტერესები. შორს მჭვრეტელი და მეთაური ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა და მომავალი თაობა დააფასებენ იმ სიტყვებს, რომლებიც წარმოასტუმრეს თ. კ. ლორთქიფანიძემ და ს. ბ. ჯორჯიკიამ, მაგრამ არა ერთნაირათ. ს. ბ. ჯორჯიკიამ და გრ. ლ. ქორქაშვილმა გამოასტუმრეს ის აზრი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ჩვენმა საზოგადოებამ ამგვარ კითხვების გადაწყვეტაში... ამ სიტყვები: „**უმაღლეს სწავლის აღჭურვილი ოცნა და ორმოცი უმაწავლა ქვეყნას განათლებულთა სან განდის. განათლებულს მხოლოდ იმ ქვეყნას უწოდებენ, სადაც ხალხი, უმაღლესობას განათლებული**“ (ჯორჯიკია).

თფილისის თავად-აზნაურობა უფრო მდიდარია თავის მოძმე ქუთაისის თავად-აზნაურობაზე, ამისათვის კითხვა 20,000 მან. განაწილებაზე მაინც და მაინც მათთვის არ აქვს ისეთი მნიშვნელობა... ეს ფულემა მთლათ სტიპენდიებზე წავიდა... სულ სხვა საქმეა—თფილისის თავად-აზნაურობის წლიური შემოსავლის განაწილება, რომელმაც ასეთი კამათი გამოიწვია. 169,000 მან. ყოველწლიურათ დიდი ფულია! თავად-აზნაურობამ გადაწყვიტა მოხმარდეს ეს ფული სამ კატეგორიის საჭიროებას.

I. საზოგადო საჭიროებათა თანხა 88,324 მან. 57 კაპ.

II. სასოფლო სამეურნეო თანხიდან 31,605 მ. 98 კ. და III ექსტრა-ორდინარის თანხიდან 29,315 მ. 75 კ.

მაგრამ უკეთესია მთელი სია მოვიყვანოთ, თუ რა გვარ საჭიროებას ეთანხმება ეს სამი კატეგორია...

I. საზოგადო საჭიროებათა თანხა 88,324 მ. 57 კ.

1) თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შესანახათ 69,597 მ. 54 კ. 2) სკოლის პანსიონერების ჩაცმა-დახურვა-სათვის 5,000 მ. გადაეცეს სკოლის კოპიტეტს.

3) თფილისის და თელავის წმ. ნინოს ქალების სასწავლებლებს 6,000 მ. გადაეცეს წმ. ნინოს საზოგადოების თავმჯდომარეს.

4) გორის ანასტასის ქალთა პროგიმნაზიას 1,000 მ. გადაეცეს პროგიმნაზიის სამზრუნველო რჩევას.

5) თფილისის I, II და III ვაჟთა გიმნაზიებს და რეალურ სასწავლებლებში 2,000 მ.

6) თფილისის გუბერნიის სასოფლო სკოლებს 2,000; ორივე გადაეცეს ბ-ნ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს.

7) მცხეთის სამთავრო წმ. ნინოს მონასტრის ქალთა სკოლას 6000 მ., გადაეცეს მონასტრის ილუმენიას.

8) დასახმარებლათ უმაღლეს და საშუალო ვაჟთა და ქალთა სასწავლებელთა მოსწავლეთათვის 2,125 მ. 3 კ. ამ ფულის მოხმარება მიენდობა თავად-აზნაურთა განსაკუთრებულ რჩევას და ოთხ თავად-აზნაურთაგან ამორჩეულ კრებას.

II. სასოფლო-სამეურნეო თანხიდან 31,605 მან. 44 კ.

1) წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლას 5,000 მან. გადაეცეს სკოლის დამფუძნებელ და მზრუნველს ი. ი. წინამძღვარიანს.

2) დანარჩენი ფული ამ თანხისა 25,605 მან. 44 კაპ. შენახულ იქნას ერთ-ერთ საკრედიტო დაწესებულებაში, ვიდრე თავად-აზნაურთა მორიგი კრება გადასწყვეტს საგანს ამ ფულის დახარჯვისას.

III. ექსტრა-ორდინარის თანხიდან 26,315 მან. 75 კ.

1) დასახმარებლათ იმ მოსწავლეთა დაბალ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთა მშობლები რაიმე უბედურ შემთხვევით დაზარალდნენ—4,315 მ.

2) დასახმარებლათ თითოეულ დაზარალებულ თავად-

აზნაურს, ან მათვე საერთოთ—25,000 მან. 65 კ.

ამ ფულის მოხმარება მიენდობა თავად-აზნაურთა განსაკუთრებულ რჩევას და ოთხს თავად-აზნაურთაგან ამორჩეულ კრებას.

მაგრამ ყველა არაა თანხმა ამგვარი განაწილებისა. ამათ რიცხვს ეკუთვნის „ივერიის“ (№№ 190, 191) მეთაურების ავტორიც. მას ერჩია, რომ ეს ფულები დახმარებოდა სკოლის შენობას და ქალების სკოლის დაარსებას. უკანასკნელი მიზანი ძლიერ სიმპატიურია, და ჩვენც სიხარულით შევეგებებოდით ქალთა სკოლის დაფუძნებას.

მაგრამ გადავიდეთ თფილისელთა საქმეებზე! პირველათ წინ გვხვდება გამწვავებული კითხვა ქალაქის არჩევნებისა, რომელიც ბევრათ უფრო რთულია ზემოხსენებულ კითხვებთან შედარებით... აქ უპირდაპირდებიან ერთი-მეორეს ინტერესები ქალაქის სხვა და სხვა ნაწილისა და ნაციისა, და რასაკვირველია, აქვე იბადება ძველი, მაგრამ მუდამ დაუძველებელი კითხვა-კითხვა ეროვნული. დავიწყეთ ბოლოდან და გავიცნოთ პრესაში გამოთქმული მოსაზრებანი ბრძოლასა და შესაძლებელ კომბინაციებზე არჩევნების დროს!

„ცნობის ფურცელს“ სომეხების შესახებ დაუჭერია მობრივებელი კილო და ისე მოქმედობს, როგორც დახელოვებული დიპლომატი. დაიწყებს ხოლმე თავის სიტყვას საჭირო სამართლიანობაზე, ისტორიულ უფლებებზე, ნათესაობით კავშირზე და ინტერესებზე, მაგრამ ამავე დროს სიგნალს აძლევს თავის „რაზმს“, რომ მზათ იყოს საომრათ... თუმცა გამარჯვების იმედი კი არა აქვს... ამგვარ მოწოდებით „ცნ.-ფურც.“ უფრო „პოვირუეტ“ თავის „რაზმის“ და მოწინააღმდეგეების წინაშე... „ცნ.-ფურც.“ სტატიების ავტორები გულში სრულ სიუძღურეს გრძნობენ... ის „ცნ.-ფურც.“, რომელიც „ერთათ-ერთი დამცველია“ ქართულ ეროვნულ ინტერესებისა, რომელიც ასე უგებოჭვილია დევნის მანიით (манія преслѣдованія) და ამის გამო ეჭვის თვლით უყურებს „კვალს“ ეროვნულ კითხვის შესახებ,—ის „ცნობის ფურცელი“ ხელს უწყდის ძმურათ სომეხთა პლუტოკრატიას, რომ ამით მაინც გაიყვანოს ხმოსნების სიაში რამდენიმე თავისი კლიენტი.

დარბაისელი „ივერია“ კი სხვანაირათ უყურებს საქმეს... სიბერის დროს პესიმიზმი შეპარვია; ის გამოიცვალა, და გადარწმუნდა; აწ აღარ არის ის წარმტაცი იმედები და ოცნებანი, რომელნიც ერთ დროს ასე აღფრთოვანებდნენ მის პოეტებს; სამარისებურ სიცივეს მოუტავს „ივერიული“ რეზონიორობა. მაგრამ „ივერია“ ზოგიერთ შემთხვევაში მართალია. მას არა სწამს, რომ „ცნ.-ფურც.“ დიპლომატებმა მიზანს მიაღწიონ და თავის მხრივ დარბაისელურათ დასძენს: „მაშ, ვისაც ძმობა და ერთობა სურს განახორციელოს თვითმართველობაში, მან უნდა ისურვოს ქართველთა და მათთან ერთათ რუსთა გამარჯვებაცა“. სწორეთ ბრძნული რჩევაა...

ქალაქის არჩევნებში არ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ ვიწრო ნაციონალურ მასაზრებით. ქალაქის თვითმართველობა წარმოადგენს საზოგადოებრივ ორგანოს, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. როდესაც ხმას ვაძლევთ ამა თუ იმ პირს, მაშინ აუცილებლათ უნდა გვახსოვდეს, რომ არის ინტერესები უმაღლესი ხარისხისა, რომ ქალაქის თვითმართველობისათვის საჭიროა ისეთი პირები, რომელთაც შეეძლოთ შეგნებულათ, სიფრთხილით დაიცვან ეს ინტერესები, და გაბედულათ იბრძოლონ მცხოვრებთა საუკეთესო მერმისისათვის... მაშასადამე, კითხვის სასწორით დაყენება, ესე იგი, ჭეშმარიტი შეხედულება თვითმართველობის მისიაზე სახელმწიფოს ცხოვრებაში აიძულებს შორს მჭვრეტელ თფილისელს ჩაუგდონ თავისი კენჭი ქალაქის საუკეთესო წარმომად-



გენელებს, იმ პირობით, რომელიც განიხილავენ არა მარტო დღიურ ვარაშს, არამედ შესძლებენ უფრო ღრმად ჩაუკვირდნენ თავის დანიშნულებას და მედგრად შეებრძოლონ სიმართლის დამთურგველ ძალებს. მაგრამ...

დ. კოლხიძელი.

**ჭიათურის შავი ქვის მწარმოებლების მომავალი კრების გამო.**

შავი ქვის მწარმოებლები მოუთმენელათ მოველით ჩვენ საზოგადო კრებას, სადაც გვსურს ერთმანეთს შევხედეთ—მოვილაპარაკოთ, და თუ შესაძლებელი კი იქნება, საერთო საქმეზე ერთმანეთს ანგარიში მოვთხოვოთ. დღე-დღეზე ძლიერდება ეს სურვილი და მით უკეთესი, თუ კი ჩვენს სურვილს საქმეთ ვაქცევთ და უნაყოფოთ არ ჩავატარებთ ყრილობას.

შავი ქვის მწარმოებელთა ყრილობას ძალიან ბევრი საინტერესო კითხვა ექნება გასარჩევ-გადასაწყვეტი და უნდა ვიგულისხმოთ, რომ, თუ მრეწველნი მომზადებული არ გამოცხადდნენ, მათი ყრილობა უმნიშვნელოთ ჩაივლის, დარჩება მხოლოდ სიტყვების რახა-რუხი, როგორც საზოგადო მოგვდის, საქმე კი თავის არა სასურველი გზით გაემართება. მაგრამ მომზადებისათვის რომ რომელიმე საგნის შესახებ შენი აზრი იქონიო, საქირაა ხელთ გქონდეს მასალა, საქმის ანგარიში, რომელიც მომქმედ რჩევის ხელშია. ამისათვის ვთხოვთ რჩევას დაბეჭდოს და დაურთოს შავი ქვის საქმეებით დაინტერესებულთ ყოველგვარი ანგარიში, მაგრამ იმ დღეს კი არა, როცა კრება იხსნება, არამედ ორი კვირის წინ მაინც კრების შედგენამდი. ამით საშუალება მიეცემა ყველას საქმეს გაეცნოს, საქმის გაცნობა კი თვითონ საქმისთვის სასარგებლოა იმიტომ, რომ ერთმანეთს შეუსწორებთ შეცდომებს და საქმეს მეტ ჭუჭყს მოვაშორებთ, გავრცობთ, გავასპეტაკებთ. მართალია, ბევრს არ იამება მთელი კრებულის წინ წამოდგეს ანგარიშის მისაცემათ, მაგრამ აღარც სხვას იამება, რომ საზოგადო ქონებით შენახული მოხელეები ანგარიშს რომ არ იძლეოდნენ. შეიძლება, რომელიმე შავი ქვის მწარმოებელმა გააკვიროს და დამეკითხო: ვინ არ მოგვცემს ანგარიშს, ანგარიშისთვის მზათ არიანო! ეს ასეა, მაგრამ მე ისეთ ანგარიშზე მოგახსენებთ, სადაც ბუღალტერიის წესი სრულიად დაცულია და ციფრები თავის ალაგას ჩაწერილი.

ამგვარი ანგარიშის კრიტიკა, ცხადია, გამოიწვევს ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე წრისაგან თავის დაცვას, რაც უნდა ჩაითვალოს ბუნებრივად. ძალას ძალა უნდა შეხედეს, ქადაგებას ქადაგება და საქმიანობას საქმიანობა, რომელსაც შეუძლია უმეტესობის სურვილის გამოაშკარავება. მაგრამ კულტურულ ბრძოლას ნუ შევცვლით ცხოველისებურ ბრძოლაზე. ნუ ვიხმობდვანელებთ თავის დაცვას დაბალ კანონით და სხვის სინიღისს პატრონებას ნუ მოვიყიდით თეთრი კენჭის მოსაცემათ. თუ ცოდნით და საქმიანობით ერთმანეთს გამოვეჯიბრებთ, მაშინ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ბრძოლა კულტურულ ნიადაგზეა შემდგარი. ამასთანავე უნდა გავწმინდოთ და გავასპეტაკოთ არჩევნების სისტემა. სად ნახულა და გაგონილა ადგომ-დაჯდომით ხმის მიცემით რომელიმე საზოგადო საქმის ბედის გადაწყვეტა! ეს საშუალება ჩვენი მედამურებისთვის ძალიან კარგია, რადგანაც ბნელი არჩევნებით შეუძლიათ მათ თავის თავის გაყვანა იქ, სადაც მათ სინათლე არ სწყალობს და მისი ეშინიათ. ერთის სიტყვით, კენჭის ყრა რომელიმე საკითხზე კენჭის ყუთში ჩაგდებათ უნდა მოხდეს, რომელიც ნათლათ გვიჩვენებს ერთმანეთის მოწინააღმდეგე წრის სურვილებს.

ამასთანავე ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი საერთო საქმის

ასე თუ ისე წარმოება დამოკიდებულია პირველათ ჩვენზე-ამრჩევლებზე და შემდეგ კი იმ კაცებზე, რომლებსაც საქმის შესასრულებლათ ვირჩევთ. მაგრამ საზოგადო კრების და კერძოთ თითოეული მწარმოებლის გამჭირებობა იმაში გამოჩნდება, თუ ის აირჩევს შესაფერ კაცებს. დღეს საერთო შავი ქვის მრეწველების წარმომადგენელი ზოგიერთ შავი ქვის მრეწველების საქმესაც აკეთებს კერძოთ. ამისთვის საჭიროა ისეთი საერთო მართველობა შედგეს, რომელიც არ გაერევა კერძოთ შავი ქვის საქმეებში. მართველობა უნდა იქნეს სრულიად ნეიტრალი; მას მხოლოდ საერთო შავი ქვის საქმე უნდა მიენდოს, ყველას უნდა ერთ და იმავე დროს აძლევდეს საჭირო ცნობებს. ერთის სიტყვით, უპირატესობა და გარჩევა არავის არ უნდა მიეცეს.

ან კი მოსახერხებელია, რომ საერთო წარმომადგენელი, საერთო ნდობით აღჭურვილი იყოს და ამავე დროს წარმომადგენელი და მეთაური მხოლოდ ერთი ნაწილისა, რომლის ნაწილებიც ერთმანეთს ბირჟაზე საქონლის გაყიდვის დროს გაცხარებით ექიშებიან!

ი. კაკაბაძე.

**ქუთაისის ქალაქის საქმიანი განახლებულ საბჭოს ხელში.**

2 ნენკისთვის განახლებულ საბჭოს 25-მდე ხმოსანმა მოიყარა თავი კრებაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ქალაქის თავი თ. დ. ლორთქიფანიძე. განსახილველი საგნები ოცამდე იყო და, როგორც არა თავ-სამტრევეთ, ორი საათის განმავლობაში სუყველას ბოლო მოუღეს ზოგის ცოტადღენ შეკამათებით და უმრავლესობისათვის ხმოსნებს თავი აღარ შეუწყუბებიათ: სიჩქარის გამო გამგეობის მოხსენებას მოისმენდნენ თუ არა, «принять, принять мнѣnie управы»-ო—მყისვე მიაძახებდნენ.

პირველ საკითხათ ქალაქის თავმა ხმოსნებს არა-სასიამოვნო ამბავი ახარა: ეს იყო ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსის უარი ქუთაისზე რკინის გზის მეორე ლიანდაგის გაყვანის შესახებ. ამ ამბავმა, რა თქმა უნდა, ქუთათური „მამები“ ძლიერ დაამძარა და ერთმა მათგანმა მოითხოვა, არიქა, ეხლავე უმადლეს მთავრობასთან მიიქეციოთ. თვითონაც შეპირდა, უფრო დასაბუთებულ მოხსენებით ახლავე მივაშურებთ ცივი ქვეყნისაკენ და ჯერ კიდევ მოიმედე ხმოსნები შეუდგენ სხვა საკითხების განსჯას.

ქუთაისის პოლიციის მეთაური ითხოვდა სავალდებულო დადგენილებათა შემუშავებას მეტოლეთა და მეურმეთათვის, ანუ ეგრეთ წოდებულ **ИЗВОЗНЫЕ ПРОМЫСЛЫ**-ს თადარიგში მოყვანას. ეს საკითხი ხმოსნებმაც და გამოსარკვევლათ გადადგეს სხვა დროსთვის. იგივე ითხოვდა ქუთათურ აბანოების პატრონთათვის სავალდებულო წესების შემოღებას. ეს წესები შეეხება აბანოების სისუფთავეს და ჰიგიენურ მხარეებს, რასაც უყურადღებობის გამო ხშირათ არღვევდნენ პატრონები. ამაზე ლაპარაკმა საკმაოთ შეაფუცხუნა ერთი მათგანი (მ—ძე), რომლის აბანოც, მართალი უნდა ვთქვათ, საუკეთესოა ქუთაისში, მაგრამ აქ წეს-რიგის დამყარებაზე ლაპარაკს იგი მაინც წინააღმდეგა და თქვა, რომ თუ კი ასე შეგვაფიწროვებთ, გვიბრძანეთ და ვამჯობინებთ იმათ (აბანოების) სახლებათ გადაკეთებას; აქედან ზარალის მეტს ვერას ვხედავთო. მაგრამ ხმოსან-ექიმმა ნაზაროვმა აბანოს მეპატრონე ხმოსანი იმით დაამშვიდა, რომ თქვენ არ გვყავხართ სახეში, ჩვენ აქ საზოგადო წეს-რიგს და მეთვალყურეობას შევიმუშავებთ და ვადგენთო. საბჭომ მიიღო მეაბანოების საყურადღებოთ გამგეობის მიერ შემუშავებული წესები და ენახოთ, როგორც წეს-რიგი დამყარდება დღეიდან ქუთათურ აბანოებში. დღეს-დღეობით კი უსუფ-



თაობას, განსაკუთრებით კ—ჩვეის აბანოში, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ბ. გუბერნატორმა წესიერების დამცველთათვის ჯამაგირების მომატება ითხოვა საბჭოსაგან. მაგრამ გამგეობამ ამაზე უარი იმით დაასაბუთა, რომ კასა კირიელი გვაქვსო და რასაც იმათ ვეხმარებით თუ საჩუქრით, ტანსაცმელით, მორთულობით თუ სხვა სახით, იმის მეტი არ შეგვეძლიაო. ამგვართ, ქალაქს არ ძალ-უძს 9,000 მანათზე მეტი ხარჯი გაწიოს პოლიციაზეო.

მოიჯარადრე კარტებულოს ძველი თამასუქების ძებნაში ბედიწვევია: მას ოდესღაც ქუთაისში გაგარინის ქუჩა გაუკეთებია და ქალაქზე 2000 მანეთამდე ფული დამრჩაო, ამბობს იგი. ამის საბუთები არსად აღმოჩნდა, მაგრამ გამგეობამ თქვა, რომ განაკეთები შემოწმდა და მოიჯარადრეს ეს ფული ერგებაო. ხმოსან-ქილაძემ კი მაინც უსაყვედურა გამგეობას, რომ ამოდენა საიჯარო საქმე უპირობოთ ყოფილა გაცემული, საბუთები არა მოიძებნაო. ახლა კი მეტი რაღა გზაა, უნდა მივიღოთ თქვენი მოხსენება და მივეცეთ მას აღნიშნული ფულიო, დააბოლოვა მან.

კარგა ხნის საკამათო საგნათ გახდა თხოვნა ვინმე მიკიტან სტეფანე ქუთათელაძის, რომელიც თხოულობდა საბჭოსაგან ბალახვანის ქუჩის ბოლოში საქალგებო ეპარქიალურ სასწავლებლის მახლობლათ სამიკიტნო დუქნის გაღების ნებართვას. ამ ადგილას წინეთ სტეფანეს ძმას, სიმონს ქონია სამიკიტნო, მაგრამ პოლიციამისტერს ამისთვის დაუკეტია, რადგან იქაც როგორც განაპირა სამიკიტნოებში მრავალი ბოროტ-მოქმედება ხდებოდა, გარშემო მცხოვრებლების ზნე-ხასიათი ირყენებოდა და საზოგადოთ ცუდი რეპუტაციის სახელს ატარებდა. ფორმალურ მხარეზე დამყარებულ გამგეობამ ის აზრი წარმოადგინა, რომ ჩვენ არაერთადი ფორმალური საბუთი არ გვაქვს შეუმჩნეველ სტეფანე ქუთათელაძეს ნება არ დავართოთ სამიკიტნოს გახსნისაო და თუ ვინიცობაა ისიც ძმის გზას დაადგა, მასაც მიუკეტვენ დუქანსო. ხმოსანმა ს. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ მე, როგორც ექიმმა საქალგებო ეპარქიალურ სასწავლებლისამ, ვიცი, რომ აღნიშნულ ალაგას სამიკიტნოს ცუდი გავლენა ექნება ამ სასწავლებლის მოწაფე ქალებზე, რადგან იქ მუდამ არღანი, ქეიფი და უწყსოება არისო. მახლობლათვე ცხოვრობენ ბინებზე ამ სასწავლებლის მოწაფე ქალები და ამისათვის არ უნდა დავართოთ ნება აქ სამიკიტნო გახსნას ვინმემო. გარდა ამისა, აქ სამიკიტნოს გაუხსნელობას 21-დგ მცხოვრებლებნიც თხოულობდენ, თუმცა მათში, ბევრი ქუთათელაძისებურ ხელობის კაცებიც იყვენ და მაშასადამე იმათ, ალბათ, ახალი სამიკიტნოს კონკურენცია უფრო აინტერესებდათ, ეშინოდათ, ვინემ მისი ცუდი გავლენა მახლობელ მკვიდრთა ზნე-ხასიათზე. ყოველ შემთხვევაში ის კი მართალია, რომ ქალაქის განაპირებში არსებული სამიკიტნოები დღეს დღეობით ბუდეა ყოველგვარ გარყენილებისა; იქაურ აყალ-მაყლით, ქეიფით, არღნების ქერიალით და ჩხუბებით მოსვენება არ აქვთ გარშემო მცხოვრებთ. კარგი, თუ გამგეობის აზრი გამართლდა და ბალახვანში ქუთათელაძის სამიკიტნო ამ საზოგადო კანონისაგან გამონაკლისი შეიქნა. ვნახოთ ისიც, როგორ, აღმოჩნდება ხარჯთა ამკრეფ ინსპექტორის ახალი ხმოსანის ი. ჩიქოვანის თავდებობა ამ ვაჭრის კეთილ სანდოობის შესახებ. მან განაცხადა კრებაზე, რომ როგორც ხარჯთა ამკრეფი და ვაჭრობის მეფალყურეობის წარმომადგენელი, მე ვიქნები თავდები, რომ იქ ვაჭრობა კეთილ-საიმედო იქნებაო. ხმოსნებმაც კენჭის ყრით ნება დართეს იქ სამიკიტნოს გახსნას.

2 ენკენისთვის კრებაზე ხმოსნებმა არც ხორციით მოვაჭრენი მოიმდურეს. ისინი კი ხანია თხოულობდენ ხორცზე ნი-

ხრის მომატებას, რადგან საკლავი საქონელი გაგვიძვირდაო. მაგრამ „ქალაქის მამები“ ვერ დაუკრძალენ ქალებს. დღეს მათ სტატისტიკური ცნობებით გაუკრძალეს ხორცს და ამბობდენ, რომ თუ კი სხვა ქალაქებში, მაგალითათ, ქ. თფილისში, სადაც საკლავი საქონელი უფრო ადვილი საშოვნია და იაფია, ქუთაისზე მომეტებული ნიხრი არსებობს ხორცზე, ჩვენ რა დავაშავეთ, რომ ასე იაფათ გვაყიდვინებთ ხორცსაო. თუ მოვიმატებიათ, ხომ კარგი, თუ არა და—საყასბოებს ვკეტავთო,—იმუქრებოდენ ისინი თავიანთ თხოვნაში, რომელიც მეტათ ლამაზათ გამოვევარახებინებია მათ ვექილს. ხმოსნებიც, შეშინებულნი, რომ ამ ნაგარაკვეს შიმშილით არ დავიხოცოთო,—დასთანხმდენ ყასბების მუდარას და 1 კაპ. წაუმატეს არსებულ ნიხრს და გახადეს პირველი ხარისხის ხორცი, რომელზედაც აწონის დროს სამესამედოთ შესამისას დაგიწონიან, 10 კ.პ., ხოლო მეორე ხარისხისა—9 კაპ.. უექველია, ახლა უფრო მოიფხანს თავს ქალაქი საყასბოს გახსნის შესახებ და თავის განზრახულ სიტყვის საქმედ ქცევას ეცდება. თფილისელებისა და ბათუმელების მაგალითი, უექველია, აქაურ თვით-მმართველობის წარმომადგენელთაც მალე გადაწყვეტინებთ ამ საქირო საბუთს.

ბოლოს ამოიჩინეს საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებისათვის მოსამსახურე პირები: თავმჯდომარეთ—მ. ქიქოძე, მის ამხანაგათ—ს. ლორთქიფანიძე (გუბერნიის მარშალი) და სარევიზიო კომისიის წევრათ ი. ჯაიანი. 1901 წლის ქალაქის გამგეობის მოქმედების შესამოწმებელ სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: დ. ნაზაროვი, ი. ჩიქოვანი და ს. დათეშიძე. ვნახოთ ორი უკანასკნელი ახალი ხმოსანი როგორს უნარს გამოიჩინენ ქალაქის თვით-მმართველობის მოქმედების განხილვის საქმეში.

**მონოგა და გაბონ-ჟიოგა \*).**

(ანრი სეის „Les classes rurales“ დან.)

**II.**

თუ რომაელთა სამეფოს დაუკვირდებით, ჩვენ მასში შევხვდებით ისეთ სოციალურ რეჟიმს, რომელიც საესებით წაავას საბერძნეთის სამეფოთა წყობილებას. რომში მემამულეთაგან კითარდება მეტათ ძლევაძომოსილი არისტოკრატია. თავდაპირველათ რომის იმპერიის მოქალაქენი იყვენ წვრილი მემამულენი. მაგრამ ომის გამო მათი მამული თან და თან იზრდება; ძლიერნი ისაკუთრებენ საზოგადო მამულებს, ავიწროებენ და ხელიდან აცლიან ქონებას წვრილ მემამულეთ,— და ესენი ვალ-ვახშით დატვირთულნი განადგურების გზაზე აღდანან. იმავე დროს და მავ მიზეზის გამო მონათა რიცხვი სწრაფათ იზრდება; მათ ზედ ემატებაან განადგურებული მთქალაქენი და ომში ტყვეთ წამოყვანილნი.

რომაელი არისტოკრატის მამულები თავიდანვე უფრო მოზრდილნი იყვენ, ვინემ ბერძნებისა და მონათა რიცხვიც პირველში უფრო მეტი იყო, ვინემ მეორეში. მონობის განვითარებამ რომაელები ორ ნაწილათ გაყო: familia rustica და familia urbana (სოფელში და ქალაქებში მცხოვრებნი). სოფლის მამულში იწყება ორგანიზაცია, მკვიდრდება შრომის განაწილება. ეს უკვე შეიცავს რთულ ადმინისტრაციას: აქ არის მთელი იერარქია, რომლის სათავეშიც დგას მოურავი (villicus), არის აგრეთვე მისი თანაშემწე (sub-villicus), ზედახედეელი, მუშაობის ხელმძღვანელი (magistri operum).

მუშაობა შეიცავდა მამულის ყოველგვარ ექსპლოატაციას. მონათა შორის იყვენ: მიწის მხენელები, მევენახეები, დღიური მუშები, მეფხოები, მეჯინიბეები, მეჯოგეები, მელო-

\* იხ. „კვალი“ № 37.



რეგია და სხ. რადგანაც სოფელი თვითონ უნდა გაწვდომოდა თავის მცხოვრებთა მოთხოვნილებას, ამიტომ მასში მოიპოვებოდა ყოველ-გვარი ხელოსნები: მეწისქვილე, მებურე, მქსოველები, მრთველები, ქვის მთლელები და ექიმები. აქ მონები ასრულებდნენ სხვა და სხვა სამსახურს და ცხოვრებდნენ სოფლის (villa) შუა ადგილს. თვითნებური მათგანი ვალდებულია თავის სპეციალობაში მთელ სოფელს ემსახუროს. ჯერ არც ერთი ამათგანი მიწაზე თავისთვის დასახლებული არ არის, არც ერთს არ აქვს მიჩენილი ცალკე მიწის ნაკერი.

შესანიშნავია ის ფაქტი, რომ რიცხვით უფრო სწრაფათ იზრდება familia urbana, ვინემ familia rustica. შინა მოსამსახურე მონები ასრულებდნენ ბევრგვარ საქმეებს და ეს სხვა და სხვაობა დღითი დღე მატულობს. პატრიციების სასახლეში მთელი ჯარია ფარეშების, კარის კაცების და სხვა მოსამსახურების. ბატონი ფებს არ გადაადგამს სახლიდან, რომ თან არ იახლოს მთელი ამაღა მონა-მოსამსახურეებისა. არიან აგრეთვე ხელზე მოსამსახურე მონები, რომლებიც ემსახურებიან დიასახლისს, ზრდიან ბავშვებს (pedagogues), ექიმობენ, მღივნობენ, ვეკილობენ... მონათა შორის გამოდიან არა მარტო ფალანგები, არამედ ფილოსოფები და არტისტებიც. ამნაირათ, რომეღელთა სამეფოში მონობის ერთ უმთავრეს დანიშნულებათაგანს შეადგენდა არისტოკრატის აღვირ წახსნილი ცხოვრების დაკმაყოფილება. ხელზე მოსამსახურეთა ბევრათ უფრო დიდი მნიშვნელობა ქონდათ, ვინემ დანარჩენ მონებს.

**ამგვარი ხასიათი მონობისა** გვიხსნის სოფლის ძველ წყობილებს სიმარეს და გამძლეობას. აქა იქ გათავისუფლება მონებისა დიდი ხანია არსებობს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთმა გათავისუფლებამ თან და თან გადაქმნა მონობა ბატონ-ყმობათ. ასეც არ იყოს, ეს მაინც ცნობილია, რომ რომის იმპერიის პირველ ორ საუკუნის განმავლობაში ბატონი ცნობდა მხოლოდ შინაურ მონას; ბატონი ათავისუფლებდა მხოლოდ მას. ამის მიზეზი იყო ბატონის მისდამი სიმპატია და ან ის, რომ ხელზე მოსამსახურე მონები მას რაიმე პირად სამსახურს უწევდნენ. თავისუფლათ გაშვებულნი თითქმის სულ შინა მონებიდან არიან და ემატებიან ქალაქში მცხოვრებთა შუათანა კლასს. მეორე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ მონების გათავისუფლება ძალიან გახშირდა. მონის პატრონისათვის ფრიად სახელდახელოც იყო მონათა მეტი რიცხვის გათავისუფლება, რადგან ამ გათავისუფლებით ის მათზე უფლებას მაინც არ კარგავდა, და,—რაც უფრო მეტი მნიშვნელოვანია,—გათავისუფლებული მონები ვაჭრობაში და მრეწველობაში ვალდებული იყვნენ ერთი ნაწილი ბატონისთვის ეძლიათ.

III.

მონების მდგომარეობა სოფლათ იწყებს ცვლას მხოლოდ მესამე საუკუნეში კოლონატების განვითარების წყალობით, რასაც ასე გადაწყვეტით ამტკიცებს ფიუსტელ-დე-კალანჯის საუცხოვო თხზულება. დიდ მამულებში მონურ ექსპლუატაციასთან ერთათ ყოველთვის იყვენ მოიჯარადრეებიც; ესენი იჯარას აძლევდნენ მიწის პატრონს ფულათ; მაგრამ რაც დრო გადიოდა, იჯარის გადახდა ფულით იცვლება ნამუშევართ (métayage); მოიჯარადრესთვის ბევრათ უფრო ადვილი იყო **იჯარას გადახდა ნამუშევართ**, ვინემ ფულით. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს. მოურავი-მონა ზედამხედველობს და თვალ-ყურს ადევნებს მოიჯარადრე-მონაწილეს მუშაობას; გარდა ამისა, ასეთი მოიჯარადრესთვის უფრო ძნელია თავის

გათავისუფლება; ამ დროიდან ის მიკრულია მამულზე და მისი მდგომარეობა ჩამომავლობით მემკვიდრეებზე გადადის.

უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ მონები მიწები გაშვებული იყო. თავისუფალი პირები, რომელთაც არ გააჩნდათ მამაპაპეული მიწა-წყლები, ესახლებოდნენ ამ მიწებზე მათ დასამუშავებლათ. ასეთი შემთხვევა ძალიან ხშირია დიდ მამულებში, სახელმწიფო მიწებზე, რომლებიც წარმოადგენდნენ იმ დროის saltus-ს, ესე იგი, თვალ-უწვდენელ დაუმუშავებელ ველ-მინდვრებს. ასეთ თავის ნებით დასახლებულ კოლონებს აზრათაც არ მოსდიოდათ მიეტოვებიათ მათი მსახრობელი მიწა; მეორეს მხრით, არც მიწის მესაკუთრეთათვის იყო ეს ხელსაყრელი; და აი ამნაირათ თავის ნებით მოსულნი ეკვრებიან მამულს.

რომის იმპერიის საზღვრებზე მყოფი ბარბაროსები მიწას თხოულობდნენ და მთავრობაც მათ სიამოვნებით აცმაყოფილებს. ის იწვევს ხანდახან მთელს tribus-ს (გვარს) თავისუფალი მიწების დასახლებლათ. მაგალითათ, 409 წელს scyre-ლები დამკვიდრდნენ რომის იმპერიაში. ამ გადმოსახლების ოქმი მეტათ დამახასიათებელია: „მიწის პატრონები თხოულობდნენ მათგან ისეთ შრომას, რომელიც მხოლოდ თავისუფალ ადამიანს მოეთხოვება; მათ არა აქვთ უფლება ისინი მონებათ გაიხადონ, და გარდა მიწის მუშაობისა სხვა-რამეზე ამუშაონ. კოლონებს აეკრძალებათ მიწის მიტოვება და პატრონებს მათი გადაყენება“.

ამგვარათ, თან და თანი შეუმჩნეველ ცვლილებით კოლონატი გადაიქმნა ყმობათ. არის კიდევ ერთი პოლიტიკური დაწესებულება, რომელიც ძალიან დაენმარა ამ გადაქმნას,—ეს არის cens, ესე იგი ის გადასახადი, რომელსაც თვითნებური მამული აძლევს სახელმწიფოს თავის მომუშავეთა რიცხვის მიხედვით. თეორიულათ ამ გადასახადის მზღველი თვითონ მიწის მომუშავე იყო, ფაქტიურათ კი მიწის პატრონი აძლევდა ხაზინას ყველა მის მამულში მომუშავეებზე გაწერილ გადასახადსა, ის კრებდა მას და ის იყო პასუხის მგებელი. კოლონების უმეტესი ნაწილი ჩაწერილი იყვენ სიებში მათ მიერ დამუშავებული სახანავ-სათესით, სათიბებით და ვენახებით. ამ სიებს ერქვა libri censuales polyptica; ესენი არიან პროტოტიპნი იმ მრავალ polyptiques-თა, რომელთაც ჩვენ ვპოულობთ საშვალო საუკუნოებში. ამ რეგულიარულმა ჩაწერამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მიაკრა ადამიანი მიწას დედანი ოქმის ძალით.

და აი კოლონიც—მიწაზე მიკრული! მეოთხე საუკუნეს დამლევს ეს საყოველთაო მოვლენაა. 371 წელს ვალენტინ პირველი აცხადებს: „ჩვენ არ გვგონია, კოლონს ქონდეს ნება მიატოვოს ის მიწა-წყალი, სადაც ის და მისი წინაპარნი ცხოვრობდნენ. თუ მიწას მიატოვებს, ის დაბრუნებული და დასჯილი იქნება. მიწის პატრონი, რომელიც სხვისი კოლონის მიიღებს თავის მამულში, არამც თუ ვალდებულია გადაუხადოს კოლონის კანონიერ პატრონს ის ზარალი, რომელიც მას მოუვიდა კოლონის წასვლით, არამედ პასუხიც უნდა აგოს მსაჯულის წინაშე“. მართლაც, კოლონები დიდი ხანადან არიან მიკრული მიწაზე. ასეთ წესს იმპერატორებმა დასტური მიცეს. მართალია, ყველა კოლონები არ იყვენ ჩაწერილი სიებში, მაგრამ მალე საკმაო შეიქმნა ერთი ბრძანება, რომელმაც მიწის თავისუფლათ მომუშავენი სამუდამოთ მიაკრა მიწას. მეხუთე საუკუნის დამლევს იმპერატორ ანასტასის ერთი კანონი აცხადებს: „თავისუფალ კოლონს, რომელიც ამუშავეს მიწას ოცდაათი წლის განმავლობაში, ნება არ აქვს ის მიწა მიატოვოს“.



საქიროა ნათლათ წარმოვიდგინოთ კოლონის მდგომარეობა. მას აქვს ყველა უფლებები თავისუფალი ადამიანისა; მას შეუძლია კანონიერათ დაქორწინდეს, შეუძლია იქონიოს უძრავი ქონება თავის საკუთრებათ; არ შეიძლება ის შედარებულ იქნას უფლების მხრივ (იურიდიულათ) მონასთან; ფაქტიურათ კი მისი მდგომარეობა მას თან და თან მოაქანებს ყმობისაკენ; ის ეკუთვნის მიწას, „რომლისთვისაცაა დაბადებული“; ის ხდება მორჩილი, ქვეშევრდომი. „ის შეწირულია მიწაზე თვით იმ ვალდებულების ძალით, რაც მას აძევს“ — ამბობს კანონმდებელი. მეოთხე საუკუნის ბოლოდამ უკვე აღარ აძლევენ ნებას, რომ თავისუფალმა ადამიანმა კოლონის ქალი შეერთოს.

კოლონი ისე მჭიდროთაა მიკრული მამულზე, რომ მისთვის ძნელია შეერთოს ცოლი სხვა მამულის კოლონებთან შორის. ასეთ ქორწინების მოსახდენათ მამულის პატრონები ქალებს ცვლიან. აი აქა აქვს ფესვები ბატონის ნებადაურთველათ ცოლის შერთვას (formariage).

საშუალო საუკუნოებში კოლონი უკვე ხდება ყმათ: ის ქვეშევრდომია და იხდის ჩვეულებით დაწესებულ იჯარას. იუსტიტეს ერთი კანონი ამბობს, რომ იჯარა უნდა იქნეს გადახდილი „ჩვეულებით დადებულ დროზე“. ყოველ მამულში საკუთარი ჩვეულებაა; რომელიც აწესრიგებს კოლონებისთვის სავალდებულო საქმე-სამსახურს. კოლონების ვალდებულება არის მიწის ბაჟის გადახდა და ბატონისთვის მუშაობა. თავი ბაჟი — ეს ნამუშევარის ნაწილით გადახდაა, ბევრაც ასე გარკვეულია: salus burunitanus-ი კოლონი ვალდებულია იმუშაოს ბატონისთვის ყოველ წელს ექვსი დეცხადია, ამ ჩვეულებას აქვს აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა, როგორც რომის იმპერიაში, მემამულეს აქვს საკმაოდ გადარჩენილი მიწები, რომლითაც ის თავის კოლონების შრომით ამუშავებს.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ შეუმჩნეველ ცვლილებით შეიქნა თავისუფალი კოლონი ყმათ. არა ნაკლებ საინტერესოა, როგორ მოხდარომ მონა, რომელიც ნელ-ნელა გადადიოდა უკეთეს პირობებში, იმავე დროს ყმათ ხდებოდა? მაგრამ ამ გადაქმნის პროცესი წელი, აუჩქარებელი იყო, და აი მიზეზი, თუ რატომ ასე შეუმჩნევლათ მოხდა ეს გადაქმნა. ცნობილია აგრეთვე, რომ ზოგიერთი მონები იღებდნენ მიწებს, რის გამოც ისინი ხდებოდნენ ვალდებულნი, როგორც ბაჟის გადახდაზე, ისე ბევრის ასრულებაზე. მესამე საუკუნის დასაწყისიდან უკვე ვამჩნევთ, რომ არსებობს ერთი კლასი (ascripticié?), რომელსაც უჭირავს შუათანა ადგილი მონებსა და გათავისუფლებულთა შორის. ვალენტინ პირველმა გამოცა კანონი, რომლის ერთი მუხლიც, სახელდობრ 367, უკრძალავს ყველა მიწის პატრონებს ascripticié-ების გაყიდვას უმიწოთ, რომელსაც ისინი ამუშავებენ. აი, უკვე მიწაზე მიკრული მონა; მას არ აქვს არავითარი უფლება იმ მიწაზე, რომელსაც ის ამუშავებს; მას არ აქვს არავითარი გარანტია, რომელიც მას უზრუნველ-ყოფდეს მის მიერ დამუშავებულ მიწის ფლობაში. მაგრამ თვით მემამულეს ინტერესი მოითხოვს, რომ მონას ქონდეს მუდამ სასარგებლოთ მიჩენილი მიწის ერთი ნაჭერი.

მეექვსე საუკუნიდან დაწყებული რომის მთელ ძველ იმპერიაში მონობა გაქრობის გზას ადგას, ყმობას უთმობს ადგილს. ყმობა საუცხოვოთ წააგავს ძველ კოლონატს, რომელიც ბევრ მამულეში, მაგალითათ რომის საეკლესიო მიწებზე, შენახულ იქნა თითქმის ხელუხლებლათ. კოლონები ვალდებულნი არიან იჯარა გადაიხადონ ფულით და ნამუშევარით და ბატონისთვის იმუშავონ. ხარკს კრებს და ზედამხედველობს ხელმძღვანელი, რომელიც ხშირათ მოსამსახურე-

თა-შორის ირჩევა; კოლონებს აკრძალული აქვთ იმ მამულიდან გაცლა, სადაც დაბადებული არიან, აკრძალული აქვთ აგრეთვე შეერთონ ცოლი სხვა მამულიდან, ნაცვლათ ამისათ მათ აქვთ გვარიანი გარანტია: მემამულეს ნება არ აქვს, მიაუმატოს მას ტვირთი გარდა იმისა, რაც მიწაზე გაწერილია.

ბატონ-ყმური წყობილების ფესვები სწორეთ რომის იმპერიის დროს ჩაიყარა: ყმობამ ეს არის იჩინა თავი; აქ-იქ უკვე ეკვირან მებატონეს ხან-გრძლივ პირობებით. ორივე ეს მოვლენა გადმომდინარეობენ ეკონომიურ საქიროებისაგან და თავის მხრით არიან მიზეზნი მამულის ორნაწილათ დაყოფისა: ერთი შეიცავს ბატონის ეზო-გარემოს და სასახლეს, სადაც ცხოვრობს მდიდარი და უსაქმო მებატონე, მეორე — გლეხების ნადელებს, იმ გლეხებისა, რომლების შრომითაც იკვებება მათი ბატონი. ასეთია ის წესწყობილება, რომელიც საუკეთესოთ ახასიათებს დომენებს და რომელიც შეირჩინეს მათ მთელ საშუალო საუკუნოებში.

შეგნიშნათ აგრეთვე, რომ ამ დროს მამულს თვით პატრონი კი არ განაგებს და უფლის, არამედ მისი მოურავი, ან ხელმძღვანელი. ეს ერთი დამახასიათებელი ნიშანია ამ დროისა. მაგრამ აი ერთი კიდევ უფრო შესანიშნავი მოვლენა: მემამულე თან და თან ხდება მსაჯულათ თავის დომენში, ის შუამდგომლობს სახელმწიფოსა და მის დომენში მცხოვრებთა შორის.

**სადომენო მართლ-მსაჯულება იჭერს ადგილს სახელმწიფო მიწებზედაც** (la fustice domaniale), სადაც სახელმწიფო მართლ მსაჯულებაა. იურიდიულათ კერძო მამულას მსაჯულება არავითარი უფლება არ ქონდა რამე სამართალი გაეჩინა მასში მცხოვრებთათვის, მაგრამ ფაქტიურათ ის მიწის მომუშავეებზე და ბატონის კლიენტებზე წარმოადგენდა ნამდვილ იურიდიულ ავტორიტეტს; მას ქონდა კერძო სატუსალოები, სადაც ის ამწყვდევდა დამნაშავეებს; მას ყავდა აგრეთვე შეიარაღებული ძალა უკმებთა მოსარჯულებლათ; ის თვითონ არჩევდა დომენში მცხოვრებთა შორის მომხდარ უკმაყოფილებას. კანონს ვერც კი მოუხერხებია მებატონის ასეთი თვითნებობის დაძლევა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ დამნაშავეს დასჯა იმპერიის მსაჯულთა შეუძლიათ მხოლოდ მემამულეს დახმარებით. ეს იმას ნიშნავდა, რომ მემამულე ბულობდა მონაწილეობას სახელმწიფოს საპოლიტიკო და სამსაჯულო საქმეებში, რამდენათაც ეს მის მამულში მცხოვრებთ შეეხებოდა. მართალია, დიდ მამულებს სახელმწიფო გადასახადი აძევს; მაგრამ ამ გარდასახადს მებატონე იხდის თავისი ყმების სახელით. ის თან და თან თავისუფლდება გადასახადისაგან და ამის შემდეგ მის მიერ მოკრებილი გადასახადი მასვე რჩება. ბოლოს, ეს ჩვეულება მებატონეთა უფლებათ გადაიქცა. ამგვარათ, პირველ საუკუნოებშივე ქრისტეს შემდეგ დაარსდა ფეოდალიზმი, მსხვილი ავტონომიური მამულები და, მაშასადამე, ის სოციალური კლასი, რომელიც ახასიათებს საშუალო საუკუნოების ცივილიზაციას.

№

(შემდეგი იქნება).

**მეფე ვახტანგ მე-VI-ის კანონები და ქართული ქალი \*).**

ეს არა-ნორმალური შეხედულება ცოლ-ქმარის გაყრაზე უნდა გამქრალიყო დროთა მსვლელობაში და კიდევ ვხედავთ, რომ მეფე ვახტანგი აღიარებს ცოლ-ქმარის თანასწორ უფლებას გაყრის საქმეში და მკაფიოთ განსაზღვრავს, თუ რა პირობებში შეიძლება გაყრა. ჩვენ გავაცნობთ მკითხველებს ამ

\* იხ. „კვალი“ № 37.



საგნის შესახებ ზოგიერთ მუხლებს შინაარსს ვახტანგის სამართლიდან. კანონიერი გაყრა ცოლ-ქმარს შორის შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთი მათგანი ჩადის მრუშობას (მ. 63). თუ ქმარს არ შეუძლია ფიზიკურად ცოლთან შეერთება, მაშინ პირველმა უნდა დართოს ნება სხვას გაყვეს; ქმარს არ შეუძლია გაეყაროს უშვილო ბერწ-ქალს, თუ უკანასკნელი არ დათანხმდა ამაზე; არც ცოლს შეუძლია ქმრის სურვილის წინააღმდეგ გაყრა, როდესაც უშვილობის მიზეზი ქმარია (168). ვინც შეცთომით შეირთავს ისეთ ქალს, რომელსაც სჩვევია ბნელა, მსგავსი შემოიღობისა, ან დასნეულებული რაიმე სხვა ავითმყოფობით, მოვალეა უწამლოს მას სამ წელიწადს, და თუ ამ დროს განმავლობაში არ მოჩჩა, შეუძლია გაეყაროს მას; ცოლსაც შეუძლია ასე მოიქცეს მსგავს პირობებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მან უნდა უწამლოს ავითმყოფ ქმარს ხუთ წელიწადს (225). როგორც ვხედავთ, ცოლ-ქმარს შეუძლიათ ერთმანეთს გაეყარონ კანონდების ნება-რთვით ოთხს სხვა-და-სხვა პირობებში: მრუშობა, ერთი რომელიმე მეუღლის სქესობრივი უვარგისობა, უშვილობა ერთი რომელიმე მიზეზით და ამიტომ ორივეს თანხმობა გაყრაზე და ერთი რომელიმე მეუღლის მოურჩენელი სნეულება, თუ იგი მიღებულია ქორწინებამდის\*). უეჭველია, ვერც ვახტანგი აცილდა ცალ-მხრივობას; ეს მტკიცდება იმ ფაქტით, რომ ცოლი იძულებული იყო ხუთი წელიწადი ეწამლა სნეულ ქმრისათვის მაშინ, როცა ქმარი მხოლოდ სამი წლით იხდიდა მოვალეობას. მიუხედავად ამისა, ვახტანგის დადგენილება გაყრის შესახებ დიდი ნაბიჯის გადადგმათ უნდა ჩაითვალოს ოჯახობრივ დამოკიდებულებათა განწესრიგების საქმეში. ერთი მუხლი ვახტანგის სამართლისა არც კი არის მოხსენებული რუსულს სამოქალაქო დებულებაში,—ეს ვახტანგის ცოლ-ქმარის უფლება გაყრასა და უშვილობის მიზეზით, მხოლოდ არსებული კანონდება სასტიკათ უკრძალავს მათ ამის სისრულეში მოყვანას. ეს გარემოება ხშირათ იწვევს არა-სასურველ შედეგებს.

გარდა ამისა ერთ ადგილას ჩვენ ვთქვით, რომ ვახტანგი აკრძალულათ ცნობს გაყრას იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლ-ქმარნი ერთმანეთის სიძულვილით არიან გამსქვალულნი. მხოლოდ შეიძლება ითქვას, ამ შემთხვევაში რომ ცოლ-ქმარს შეიძლება რაიმე სხვა ზომის ხმარება,—ეს არის თავის ნებით გაყრა, რომელიც წარმოადგენს ერთს რადიკალურ საშუალებათაგანს ცოლ-ქმარობის არა-ნორმალურ დამოკიდებულებათა მოსასპობლათ. დასავლეთი ევროპა დიდი ხანია ამ შეხედულებით ხელმძღვანელობს; განსხვავება იმაშია, რომ იქ ნება-ყოფლობითი გაყრა დაკანონებულია, ვახტანგი კი უწოდებს მას უკანონო მოქმედებას და ამიტომ დევნის, როგორც დანაშაულს. მხოლოდ, თუ შევადარებთ ამ მხრივ რუსული დებულება და ვახტანგის სამართალი, განსხვავება დიდია და, უნდა გავტყდეთ,—მეორეს სასარგებლოთ. მაშინ, როდესაც რუსული დებულება აწესებს გაქცეული მეუღლის (სულ ერთია, ცოლია ის თუ ქმარი) აუცილებლათ და ძალათ შეერთებას დატოვებულ მეუღლესთან, ვახტანგი მხოლოდ აწესებს ამ შემთხვევაში დამნაშავეს გადაახდევინოს ერთი სისხლის საურველი (72, 73, 74). თავის-თავათ ცხადია, რომ ჯარიმის გადახდევინება ურო ადვილათ ასატანი სასჯელია, ვიდრე განუწყვეტელი ზნეობრივ-ფიზიკური ტანჯვა-ვაება, გამოწვეული

უთანხმო ცოლქმარის ერთათ ცხოვრებით. მკითხველმა კარგათ იცის, თუ რამდენი დანაშაული ხდება ყოველ-წლივ რუსეთის იმპერიაში ამ მიზეზის გამო. ამასთან არ უნდა დაივიწყოთ ის გარემოება, რომ მამა-კაცი ყოველთვის უფრო უღმბობელი და მტარვალური ხასიათის მქონე იყო ქალთან შედარებით, ამიტომ იგი ზემოთ დასახელებულ ზომას ხმარობდა უმეტეს ნაწილათ: საკმარისი იყო ერთი უმნიშვნელო ფაქტი, რომ მას სრულიად უმიზეზოთ ეცემა ცოლისათვის და სამუდამოთ გაეძევებინა ოჯახიდან. აი, ამ განსაცდელში ქომავობას უწევს სუსტ არსებას ვახტანგის სამართალი: ბოროტ ქმარს იგი ვალდებულათ ხდის, დაუბრუნოს გაძევებულ ცოლს მზითველი და ამის გარდა დაუურვოს მას ერთი სისხლი.

ცოლ-ქმარულ ცხოვრებაში იყო ბევრი ისეთი შემთხვევა, რომლის შესახებაც არსებობდენ შესაფერი დადგენილებანი სომეხთა და ბერძენთა კანონებში. შეიძლება, ამიტომ მეფე ვახტანგი მეტათ თვლიდა ხელ-მეორეთ შეხებოდა მათ თავის სამართალში. ეჭვი არ არის, ეს დადგენილებანი არ იყვენ სავალდებულო ქართველ მსაჯულთათვის, ხოლო არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი პრაქტიკაში მოკლებულნი იყვენ ყოველივე მნიშვნელობას.

ხშირათ მოხდებოდა ხოლმე, რომ ომიანობის დროს მტერი წაასხამდა ტყვეთ მამა-კაცს; მაშინ იბადებოდა კითხვა, როგორ მოქცეულყო ოჯახში დარჩენილი ცოლი. აი, ამგვარ შემთხვევათათვის აწესებს ბერძენთა კანონ-დება შემდეგს: ტყვეთ წაყვანილის ცოლს არ შეუძლია სხვა მამა-კაცს გაყვეს; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უნდა გაეყაროს ასეთ ქმარს და შეუერთდეს პირველს, თუ იგი დაბრუნდა ტყვეობიდან. საგულისხმოა ის გარემოება, რომ კანონი არ აწესებს არავითარ ვადას, რამდენი ხანი უნდა უტადლოს ცოლმა ქმარს,—უეჭველია, ეს ცდა უვადო უნდა ყოფილიყო, ე. ი. გაგრძელებულიყო მანამდე, სანამ ქმარი არ დაბრუნდებოდა. ცოლს შეეძლო მეორე ქმარს გაყოლოდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში,—ეს მაშინ, როცა ტყვეთ ყოფილი მოკვდებოდა. ეს ფაქტი, თანახმათ ქვრივის თხოვნისა, უნდა დამტკიცებია ვინმე მამა-კაცს წმიდა სახარების წინაშე ფიცის მიღებით. მასთან ქვრივს უნდა ეგლოვა მიცვალებული ერთი წელიწადი (82, 83). სულ სხვას ვხედავთ მაშინ, როცა ტყვეთ წაყვანილია ცოლი და და არა ქმარი. ამ შემთხვევაში ქმარმა უნდა დაიხსნას დატყვევებული ცოლი სასყიდლით. თუ ვინიცობაა ცოლი იქნა ტყვეთ წაყვანილი მისი მშობლების ოჯახიდან, მაშინ ქმარი და ცოლის მშობლები ერთათ ეწვიან გამოსაყიდელ ხარჯს. თუ შეიდი წლის განმავლობაში ვერ შეიძლეს დატყვევებულის მოთხოვა ან გამოყიდვა, მაშინ ქმარს ეძლევა უფლება დაკარგული ცოლის მშობლების ნება-რთვით შეერთოს მეორე ქალი ცოლათ (სომეხ. კან. 158). როგორც ხედავთ, ბერძენთა კანონ-დება ეხება მხოლოდ ქმრის ტყვეთ წასხმას, ხოლო სომეხთა კანონ-დება—ცოლისას, ამიტომ ჩვენ არ ვიცით, რას აწესებდა პირველი ცოლის ტყვეთ წასხმის დროს და მეორე—ქმრისას. ჩვენთვის საჭირო იყო აღვნიშნა ის ფაქტი, რომ გაყრა შესაძლებელი იყო ერთი რომელიმე მეუღლის ტყვეთ წასხმით. გარდა ამისა სიტყვები—ქმარს შეუძლია ცოლის მშობლების ნება-რთვით შეერთოს მეორე ცოლი—მიგვითითებს ერთ საყურადღებო მოვლენაზე. ქმრიანი ქალი არ სპობდა კავშირს მთლათ თავის მშობლებთან. სიძე ზოგ შემთხვევაში პასუხის-მგებელი იყო სიდედრ-სიმამრის წინაშე. მშობლები ქალის გათხოვების შემდეგაც ზრუნავდენ მის კეთილდღეობაზე. სანამ კანონ-მდებლობა მიაქცევდა ყურადღებას ქალის ტანჯვა-ვაებას მტარვალ ქმარის ხელში, მისი ერთათ-ერთი შემბრალბელი და დამხსნელი ქმრის სიმხეცისაგან იყვენ მშობლები.

\*\*) ჩვენ ზევით მოვიხსენეთ, რომ აღბუღა შესაძლებლათ ცნობდა გაყრას, თუ ცოლი დასნეულდებოდა ქორწინების შემდეგ. ვფიქრობთ, რომ ეს წესი მიღებული იყო ვახტანგისაგანაც ავტ.



კოლ-ქმარს შორის უკმაყოფილება ხშირათ აღწევდა იმ ზომამდის, რომ მათი ერთად ცხოვრება ჯოჯოხეთს წარმოადგენდა, რის გამო ისინი მიმართავდნენ ხოლმე საშინელ საშუალებას—საწამლავს. ამ საგანს ეხება როგორც ბერძენთა, ისე სომეხთა კანონ-დება და აწესებს: თუ კოლი ან ქმარი შენიშნულ იქნა, რომ ის აკეთებს საწამლავს მეორის სიცოცხლის მოსასპობლათ, მათი სამუდამო გაყრა ნება-დართულია კანონისაგან. გაყრა მაშინაც შესაძლებელია, როდესაც ერთი მათგანი ეძლევა მისნობას ან ჯადოსნობას (ბერძენ. 356, სომეხთა მუხ. 88).

ჩვენ ზევით მოვიხსენეთ, თუ როგორ სავალდებულოა ქალისათვის უმანკოება, მაშინ, როდესაც მამა-კაცი თითქმის თავისუფალია ასეთ მოვალეობისაგან. ახლა შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სომეხთა სამართალი აძლევს მამა-კაცს გაყრის უფლებას, თუ ახალშერთული კოლი უმანკო არ გამოდგა (272). ქალს ეძლევა უფლება გაეყაროს თავის ქმარს, თუ უკანასკნელმა თავის ნებით დაიმახინჯა თავი და არ შეუძლია სქესობრივი დამოკიდებულება იქონიოს ქალთან, ე. ი. თუ იგი გასკაპეცებულია (326).

როგორც ვიცით, საშველო-საუკუნოებში კოლ-ქმრის კავშირის უმთავრესი თვალ-ყურის მგდებელი ეკლესია იყო; ერის სარწმუნოებრივი წარმოდგენა სამღვდლოების კანტროლს ექვემდებარებოდა. სარწმუნოებიდან გადადგმა მიჩნეული იყო უსაშინელეს ცოდვათ, რომელსაც მოელოდა სასტიკი დასჯა როგორც აქ, აგრეთვე საიქიოში. ამიტომ თავის-თავათ მისახვედრია, თუ რატომ ანიჭებს სომეხთა კანონ-დება გაყრის უფლებას იმ პირს, რომლის მეუღლემ ურჯულოთა სარწმუნოება მიიღო (167).

თუ ქართველი ქალი არ იყო მთლიან დაცული ქმრის მტარვალობისიგან, მისი დამოკიდებულება შეიღებთან გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო; ხშირათ დატანჯულ-დადაგული ქმრის გულ-ქვაობით იგი პოებდა ნუგეშს შვილების სიყვარულში და აღერსში. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მამა-კაცი ბევრ დროს ანდომებდა მტერთან ბრძოლას, მაშინ თავის-თავათ ცხადია, რომ შვილები უმეტეს ნაწილათ იმყოფებოდნენ დედის გავლენის ქვეშ, რის გამო უმანკო ბუნება ბევრს იგებდა. აქედან შვილები უფრო დაახლოვებული იყვნენ დედასთან, ვინემ მამასთან: ამ უკანასკნელს, როგორც ოჯახის უფროსს, ისინი მხოლოდ ემორჩილებოდნენ, დედა-კი მათი სასიყვარულო და სატრფიალო მეგობარი იყო,—მათ კარუათ ახსოვდათ, როგორის თავგანწირულობით გამოსტაცებდა ხოლმე დედა მათი პაწაწა სხეულს გაფითრებულ მამას ხელიდან. ვინც დაკვირვებია ჩვენს ხალხურ სასიძღვრო ლექსებს, მისთვის ცხადი უნდა იყოს, თუ როგორის ძლიერებით გამოსტყვივის მათში დედა-შვილური სიყვარული. ჩვენი კანონ-მდებელთა შეხედულებით, დედა დიდს პატივ-დებამი უნდა იყოს შვილებისაგან; ეს უკანასკნელნი ყოველთვის უნდა ცდილობდნენ ამონ დედას თავის კეთილ-შობილურ ყოფა-ქცევით; დედის შეურაცხყოფელ შვილს კანონ-დება სასტიკათ დევნას. ქართული სამართალი არა ერთხელ იმეორებს მოსეს მე-V-თე მცნებას.

ვახტანგის სამართალი არ იფიწყებს არც ქვრივთ დატოვებულ ქალის პიროვნებას. მე-203-მე მუხლი პირდაპირ აწესებს, რომ ბატონს არ შეუძლია თავის გლეხის ქვრივი იძულებულ ჰყოს, რომ გათხოვდეს, თუ მას თვითონ არ სურს ეს. ქვრივ ქალს სრული უფლება აქვს დარჩეს თავის შვილებთან საცხოვრებლათ, ან თუ სურს მითხოვდეს იმას, ვისაც თვითონ აირჩევს. ბატონს ამ შემთხვევაში ახალი სასიძო „ავს ქვრივზე და კარგს ქვრივზედაც“ აძლევს ერთს ხარს და ერთს მარჩილს ფულათ; ამ გადასახადს ეწოდება

„საქვრივო“. საყურადღებოა მასთან ის ფაქტი, რომ ვახტანგის სამართალი არ ავალებს ქვრივ-ქალს მიცვალებულ ქმრის გლოვას. ამ მხრივ ბერძენთა და სომეხთა ქართული სხვანაირათ იქცევა: პირველი აწესებს ვინავე ქვრივს, ორივე მეუღლისათვის (95, 96), მეორე კი—მარტო ქალისათვის და ისიც 10 თვეს (66).

ბ) ქართველი ქალი გათხოვებისადმი.

ჩვენ ვიცით კაცობრიობის კულტურის ისტორიიდან, რომ ყოველი ნორმალური ერი გაივლის თავის განვითარების გზაზე მრავალ სხვა-და-სხვა სოციალურ ეპოქებს. ამ ეპოქათა შორის საპატიო ადგილი უჭირავს გვაროვნულ წყობილებას (подовой строй), რომელიც ფრიათ მდიდარია, როგორც შინაარსით, აგრეთვე დიდ-მნიშვნელოვან შედეგებით. ბევრი თანამედროვე ადამიანთა ჯგუფნი და კერძოთ ჩვენი მთიულები აქამომდე იმყოფებიან ისეთ საზოგადოებრივ პირობებში, რომელიც ბევრათ არ განსხვავდებიან პირვანდელ გვაროვნულ პირობებისაგან. ვინ არ იცის ის უტყუარი ფაქტი, რომ ჩვენი თანამედროვე მონოგამიური ოჯახის პირვანდელი უჯრედ-წარმოდგა სწორეთ ამ ეპოქაში და შემდეგ ამისა იგი ერთხელაც არ აცდენია ამ გზას! მთელს მაშინდელს გვაროვნობას თავში ედგა მამათ-მთავარი, ან, როგორც მწერლობაში ეძახიან, პატრიარქი. ეს უკანასკნელი იყო აღჭურვილი განუსაზღვრელი უფლებებით, ასე რომ ის არაფრით ჩამოუყარდებოდა აღმოსავლეთის დესპოტებს. უნდა შევნიშნოთ, რომ პატრიარქალური ოჯახი დიდათ განსხვავდებოდა თანამედროვე ოჯახისაგან თავის წევრთა სიმრავლით; იგი შედგებოდა ას ან მეტ პირთაგან, რადგანაც ერთი გვარის შთამომავალნი განაგრძობდნენ განუყრელ ცხოვრებას მოდგმით-მოდგმაზე; ახლანდელი წყვილყოფილი კოლ-ქმარი ასეთს პატრიარქალურ ოჯახში მრავალი იყო, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ქონდა ახლანდელი დამოუკიდებლობა. პატრიარქი იყო ბატონ-პატრონი თვითეული წევრისა, მას შეეძლო სიკვდილით დაესაჯა ურჩი, ან მიეყიდა ის უცხო ხალხთათვის და სხვ. ძველ ბერძენთა და განსაკუთრებით რომაელთა ისტორია საკმაოთ მოწმობს პატრიარქის ასეთ უწვევრავლეს ბატონობას ოჯახის წევრებზე. ასეთის წეს-წყობილების დროს შვილების, და კერძოთ ქალის, პიროვნულ უფლებებზე ბასი უადგილოა; ისინი წარმოდგენდნენ უსიტყვო იარაღს, რომლის მოვალეობაც მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მსხვერპლათ დაგებოდა ოჯახის საერთო ინტერესებს და საკუთარი სურვილები ჩაეკლა თავის გულში.

დროთა განმავლობაში პატრიარქის ასეთ განუსაზღვრელ ბატონობას ეკვეცება ფრთები. ოჯახის წარმომადგენელთა შორის შრომის განაწილება თან-და-თან იკიდებს ფეხს; აქედან დამოკიდებულებანი მათ შორის იცვლებიან. მიწის საერთო მფლობელობა, რომელიც უმთავრესი ქვა-კუთხედი იყო გვაროვნული წყობილებისა, წარმოების საშუალებათა და ადამიანთა მოთხოვნილებების განვითარების მეოხებით კარგავს პირვანდელ აბსოლიუტურ ხასიათს; იგი კოტ-კოტათი ირღვევა და ჩნდება მის მაგიერ მიწის კერძო მფლობელობა. ოჯახის წევრთა რიცხვი დროს განმავლობაში აღწევს ისეთ სიმრავლეს, რომ მათი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლებელია ახლო-მახლო მიწა-წყლით, საჭიროა მათი უანცალკევება და გადასახლება სხვა-და-სხვა ერთი მეორისაგან მოშორებულ ადგილებზე. რაც დრო გადის, კარგი და ნაყოფიერი ადგილები თან-და-თან კლებულობს, უპატრონო მიწა-წყალი იშვიათია, ასე რომ შეუძლებელია სამოსახლო ადგილების თავისუფლათ გადაწვევა, —ერთი სიტყვით, აუცლებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ფრიათ ძნელდება, ამიტომ თავს იჩენს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სხვა-და-სხვა გვა-



როგნულ ჯგუფთა, საზოგადოებათა და ერთა შორის ბატონობისათვის. როგორც ყოველთვის, აქაც ძლიერი მხარე ძლევს სუსტს, პირველი ეპატრონება მეორის მამულ-დედულს, მცხოვრებთ მუსრს ავლებს. წარმოების იარაღის და შრომის საკმაო განაწილება შესაძლებლათ ხდის ერთმა ადამიანმა თავიც გამოიკვებოს და სხვისათვისაც რაიმე საზოგადოებადანი იქონიოს; ეს პირობები კი შესაძლებლათ ხდის ერთმა შრომის ოფლი ღვაროს, მეორემ კი იცხოვროს პირველის ნაოფლარით,—აქედან მონობისათვის ჩნდება აუცილებელი ნიადაგი. ომში დიდი მნიშვნელობა აქვს დისციპლინას, ხოლო ეს იმავე ჯარის უფროსთა აუცილებელ საჭიროებას მოასწავებს; ომში ბატონობით გალაღებულნი, ისინი იჩემებენ ასეთს ბატონობას მშვიდობიანობის დროსაც. ეს დროც ჩქარა დგება მათთვის, რადგანაც დამორჩილებულთა რიცხვი თან-და-თან მრავლდება და მათი ცხოვრების განწესრიგებას, თუ შინაური შფოთის დაწყებას სჭირია ცალკე ადამიანი, რომელიც აღჭურვილი უნდა იყოს ზოგიერთი უფლებებით. თვით ცალკე ადამიანები, თუ მთელი ოჯახები ვერ ბედავენ თავისუფალ, დამოუკიდებელ ცხოვრებას და მიმართავენ „ძლიერთა ამა სოფლისათა“ მფარველობისათვის; უკანასკნელნი სიამოვნებით ღებულობენ მათ თავიანთ მფარველობის ქვეშ, მხოლოდ იმ პირობით, რომ პირველნი ვალდებულნი გახდნენ ნივთიერათ და პირადათ ემსახურონ მათ ზოგიერთ შემთხვევაში,—ჩნდებიან, მაშასადამე, ფეოდალნი, ვასალები და სხვ. დროთა ბრუნვაში ერთის ბატონობა და მეორის მორჩილება იმდენათ მაგრდება ცხოვრებაში, რომ მეორე კარგავს ყოველივე ქონებრივ-პიროვნულ უფლებებს და მის მაგიერ პირველის სათარეშო ნივთათ იქცევა; მას არა აქვს უფლება ერთი ნემსის საღირალიც გაყიდოს თავის ნაოფლარიდან ბატონის დაუკითხავათ; წინააღმდეგ ამისა, ბატონს შეუძლია გაყიდოს იგი, გააუპატიუროს, გადაწვას, გადაბუგოს. მოთხოვნილებანი იმდენათ ვითარდებიან, რომ ადგილობრივი ნაწარმოებნი ვერ აკმაყოფილებენ მათ, საჭიროა სხვა ადგილების ნაწარმოებნი; აქედან აღებ-მიცემობა იკიდებს ფეხს ადამიანთა ცხოვრებაში; ეს მომასწავებელია იმისი, რომ ადამიანთა, ოჯახთა, საზოგადოებათა და ერთა ურთიერთი დამოკიდებულებანი იმდენათ რთულდებიან, რომ მათი განსაზღვრა შეუძლებელია რომელიმე ერთი ფეოდალის მეოხებით; ამასთან, განუწყვეტელი ომი და აურ-ზაური საჭიროთ ხდის ერთს საერთო ავტორიტეტს, რომლისაც ცოტათ თუ ბევრათ უნდა ერიდებოდეთ ფეოდალთ და აი, უძლიერესი მათგანი იმორჩილებს დანარჩენთ და თვითონ ითვისებს ზოგიერთ საყოველთაო კითხვების, ასე თუ ისე, გადაწყვეტის უფლებას,—აქ ძვეს დასაწყისი მომავალ მოქალაქობრივ სახელმწიფოსია, რომელსაც თავში უღვას გვირგვინოსანი მეფე... ჩვენ გვინდოდა მხოლოდ სხარტათ წარმოგვედგინა ეს მსოფლიო ისტორიული პროცესი და ეს იმიტომ, რომ ბოლოს გვეთქვა,—ჩვენმა ერთმა განვლო ეს ხანგრძლივი გზა განვითარებისა; ამიტომ საზოგადოათ შვილების და კერძოთ ქალის მდგომარეობას საქართველოში უდა განეცადა მრავალი ცვლილება.

იმ ეპოქაში, როცა ხვენი კანონ-მდებელნი ცხოვრობდნენ, ფეოდალურ წყობილებას ისე მაგრათ ქონდა ფესვები გადგმული ცხოვრებაში, რომ მშობელთა და კერძოთ მამის განუსაზღვრელ უფლებას შვილებზე ადგილი არ ქონდა; მას არ შეეძლო, როგორც წინათ, გაეყიდა, არც, მით უმეტეს, სიკვდილით დაესაჯა შვილები. თვითონ იგი მთელი თავის ოჯახითურთ ბატონის კუთვნილებას შეადგენდა.

მიუხედავათ იმისა, რომ მებატონეთა გაძლიერებამ ერთის მხრით და მეფის გავლენის საყოველთაო მნიშვნელობის მოხვეჭამ, მეორეს მხრით, შეზღუდა მშობლების უფლებები

შვილებზე, არ შეიძლება ითქვას, რომ მშობლებმა ამით სრულიათ დაკარგეს შვილებზე ზი-გავლენა. მშობლებს შეეძლოთ საშინლათ დაეტუქსათ შვილები ურჩობისათვის. თვით ვახტანგის სამართალი გვეუბნება ამას: თუ მამამ განაზრდა, ან სხვა გზით შეურაცხყოს „ვაჟი-შვილი“ (იგივე ითქმის, ჩვენის აზრით, ქალიშვილზედაც), ამ უკანასკნელს არ ეძლევა უფლება მოთხოვოს მას პასუხი, ვინაიდან მამა ექცევა ასე შვილის გასასწორებლათ, ან დასასჯელათ ურჩობისათვის (78). რაც შეეხება ქალის გათხოვებას, ამ მხრივ მას არ ქონდა არავითარი თავისი სურვილი, ყველაფერი მშობლების სურვილზე იყო დამოკიდებული. ეს ასეც უნდა ყოფილიყო ჩვენს წარსულ ცხოვრებაში, მით უმეტეს, რომ ახლაც ბევრია ასეთი მაგალითები. მართალია, სასულიერო მთავრობა ქადაგებდა, რომ ჯვარის-წერა შეუძლებელია მეფე-დედოფლის უნებურათ, მაგრამ ფაქტიურათ ეს ასე არ ხდებოდა ცხოვრებაში. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ გლეხის ქალიშვილის გათხოვებაზე ნება უნდა დაერთო აგრეთვე ბატონს. ამ უკანასკნელს მიაერთმევდნენ ხოლმე ვერეთ-წოდებულ „საჩქმეს“, რომელიც უმეტეს ნაწილათ ფულისაგან შედგებოდა.

ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ცოლქმარას განუყრელი ცხოვრება ხელ-შეუხებელი იყო ბატონისაგან, ამ უკანასკნელს არ შეეძლო მათი ცალკ-ცალკე გაყიდვა, ან მათი ძალათ გაშორება თავის ცხოველურ ვნებათა დასაკმაყოფილებლათ. ასეთ წესს აღიარებდა ერის ძლიერი ჩვეულება, ამას ქადაგებდა ეკლესია და ამასვე აკანონებდა კანონ-მდებლობა. ხოლო სხვა იყო ყმის შვილების მდგომარეობა. ბატონს შეეძლო მათი მშობლებისაგან განშორება და გაყიდვა. ვინ მოთვლის. რამდენ დამცირებას და ტანჯვა-ვაებას ითმინდა ყმის ქალიშვილი, ე. ი. „გოგო“, ბატონის მსუნაგობისაგან! გოგოს ზნეობრივ-ფიზიკური ხელ-უხლებლობა ხშირათ ითვლებოდა ბატონის ძალ-მომრეობით, თუმცა ამის უფლებას მას არ აძლევდა არც ჩვეულება და არც სამართალი. ვახტანგი აწესებს: გლეხს ეძლევა უფლება მოკლას ის პირი, რომელსაც წაასწრებს თავის ქალიშვილთან მწოლარეთ, მხოლოდ არ არის ნაჩვენები, შეუძლია თუ არა მას ბატონსაც ასე მოექცეს (±2, ნაწ. 6). თუ მივიღებთ მხედველობაში მეფე ვახტანგის სამართლის ფრიათ ჰუმანიურ მიმართულებას, ჩვენ შეგვიძლია დავსკვნათ, რომ უფლება ქონდა ხელში იარაღით დახვედროდა ყმა ბატონის ცხოველურ ძალ-მომრეობას.

ხშირათ მოხდებოდა ხოლმე, რომ გლეხი სიღარიბის გამო ვერ შეძლებდა ბატონისაგან დადებულ გადასახადის გამოღებას, მაშინ მეორე წავგრიდა პირველს გოგოს სახლის მოახლეთ. ეს გარემოება ადებდა მოახლეს საშინელ მდგომარეობაში. ბატონის კარზე მდგომნი უთვალავი მსახურნი, დახელოვნებულნი სოფლის აწიოკება-აოხრებაში და გარყვნილნი უსაქმობით, შავ ღღეს აყენებდნენ საბრალო მოახლეს, თუ იგი ზნეობრივ სიმტკიცეს გამოიჩინდა. სწორეთ ასეთ შემთხვევებისათვის აწესებს ვახტანგი ერთს ალავას: ბატონს შეუძლია მოკლას ის, ვისაც წაასწრებს თავის მოახლესთან (42, ნაწ. 7). რაც შეეხება ბატონის უფლებას მოახლის სხეულზე, მას საზღვარი არა აქვს და კანონით თითქმის არ არის აკრძალული. ჩვენ ვკითხულობთ ვახტანგის სამართალში ერთ ფრიალ საინტერესო მუხლს: „როდესაც ვინმე შეაცდენს ძმის მოახლეს, კარგია კიდევ თუ შეურაცხყოფილის ძმა მოითმენს ამას, თუ არ მოითმინოს და მოახლე განაგდოს და დასახიჩროს, მაშინ შემცდენელმა ძმამ უნდა უზღოს მას მსახურის სისხლის საურველი“ (83). როგორც ხედავთ, სრულიათ სახეში არ არის აქ მიღებული მოახლის პიროვნება; კანონ-მდებელი ფიქრობს მხოლოდ ბატონის შეურაცხყოფაზე და



მოახლე კი, რომელმაც სამუდამოთ დაკარგა უმანკოება, დავიწყებულია; ამასაც რომ აღარ აკმარებენ საბრალოს! „განდევნიან“ ან კიდევ „ასახიჩრებენ“ მას, თითქო მისი ზნეობრივი დაცემის მიზეზი მისი უმანკო და ახალგაზრდა გული ყოფილიყოს. უეჭველია, მეფე ვახტანგი ამჩნევს ამ მუხლის უსამართლობას, მაგრამ რა ქნას, უნამუსო ფეოდალთა სრულიათ ალაგმვა მის ხელთ არ არის! მან ისიც კარგათ იცის, რომ მოახლეობა საზოგადოთ არ არის სამართლიანი დაწესებულება და ზოგიერთ შემთხვევაში კლილობს შეასუსტოს აგი. ამის მაგალითს ჩვენ ვხედავთ მე-203-მე მუხლში, სადაც ვახტანგი აწესებს, რომ სხვა ბატონის გლეხზე მითხოვილ ქვრივს პირვანდელი ბატონი ვერ წაართმევს ქალიშვილს მოახლეთ.

ა. ჩხენაელი.

(შემდეგი იქნება).

### წერილი რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორე! უმარჩილესათ გთხოვთ ამ ზატარა წერილს ადგილი მიცეთ გაზეთ „კვალში“.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ს. ჯიქთუმაში მცხოვრებნი, დაფრწუნდით-რა დღეობა „კლიობის“ (20 ივლისი) მანგე და უფარგის მხარეებში, ერთხელ და სამუდამოთ გუცხადებთ ჩვენ მოუფრებნათესავე-მეზობლებს: დღეის შემდეგ არ ვიხდით ხსენებულ დღესასწაულს და ვთხოვთ აგრეთვე ნურავა ნუგვაწუხებს თავიანთ დღესასწაულებზე დაზარალებით.

ზეტრე ნ. კახიანი, ბენედიქტე დ. კახიანი, ნიკო ი. კახიანი, დათა მ. კახიანი, ალექსანდრე ვ. კახიანი, ტატო ლ. ხუნდაძე, ვასილი ლ. ქუთათელაძე, ლუკა გ. ძაძაძა, სზარდონ გ. შილაკაძე, ზეტრე ნ. შილაკაძე, ანტონ ბ. შილაკაძე, ლევან დ. შილაკაძე, არსენ მ. ვერულაშვილი, კიმთე ბ. შილაკაძე და ილარიონ გ. შილაკაძე.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

თფილისის კერძო საბჭოვნალო

### გადეპანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21).

თელეფონი № 274.

ავადმეოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულეზანი, 8—10 საათ.

ნ. ტ. მუღანი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშ. ხუთშ. და შაბათობით 10—11.

დ. ი. კამოევი.—საშარდეს (ქირურგიული) ავთმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

- ი. ზ. ახალშენაშვილი—კბილის სნეულეზანი, 11—12.
- კ. მ. კლიაშვილი—შინაგ. და ბავშ. 11—12.
- დ. ა. გედეგანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლოზა ელექტრონით 12—1 ს.
- გ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი და ნერვების, და ბავშვეზი სამშაბ. და პარასკ. 1—2.
- ს. გ. ბანსუკოვი—დელათა სნეულეზანი, ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით, 12—1.
- გ. მ. ამბარდანიშვილი—სიფილისისა, კანისა და საშარდე-1—3.
- გ. გრ. საბოდეგსკი—ქირურგ. და ორტოპეტიული, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 1—3.

### ს ა დ ა მ ო თ ი:

- ი. ნ. თუმანიშვილი—დელათა სნეულეზანი, 5—6.
  - ს. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა, მიკროქიმიური გამოველეზანი 5—6.
- სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.

### სასწავლებელი და პანსიონი.

#### ა. მამულაშვილისა

ვერა, სლევკოვის ქუჩა, № 13. ზემეელის აფთიექის მახლობლათ.

ამზადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებისათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხვ.). იქვე ამზადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორეთ გამოცთა (переэкзаменовки).

სოლოლაკში, სერგიევის ქუჩაზე,  
მირზოევის სახლებში № 1, გაიხსნა.

## სახლი სტამბა

### ძმათა თავართქილაძეებისა,

რომელიც დაიწებს მოქმედებს ავვისტოს პირველიდან, მიიღება საბეჭდავი საქმეები ყველა ენებზედ, სტამბა შემოკვეთილ საქმეებს ასრულებს

### სწრაფათ და თავის დროზედ,

ამ სტამბასთან იქნება უმთავრესი საწყობი საკუთარ გამოცემათა.

ვისაც ჩვენ ფირმასთან საქმე აქვს, ან ექნება, ვთხოვთ დღეიდან მოგვმართონ თფილისის ამ ადრესით: Тифлисъ, бр. Таварткиладзе.